საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 4 სექტემბერი. 2019 წ. №174 (8840) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ქვეყანა ნაცებისგან უნდა ვიხსნათ, მართლაც, სირცხვილია!!!

მართალია, წელს ბუნებამ დაგვინდო და შედარებით გრილი ზაფხული გვქონდა, მაგრამ ლიბერასტ მომიტინგეთაგან ოკუპირებულ რუსთაველზე, ეტყობა, დუღილის ტემპერატურამ დასაშვებ ნორმას გადააჭარბა, რაც გუშინ პარლამენტში განვითარებულ შიზოიდურ მოვლენებში აისახა.

ალბათ, მიხვდით, რომ საშემოდგომო სესიის გახსნისადმი მიძღვნილ იმ სხდომას ვგულისხმობთ, რომელზეც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ გიორგი გახარიას და ახალი მთავრობის შემადგენლობის წარდგენა მოხდა, მის „დამამშვენებლად“ კი, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხი(!) შვილის „გმირი“ დედა ელენე ხოშტარია მოგვევლინა. თუ მას აქამდე რევანშისტულ-დამანგრეველი მოძრაობის ერთ-ერთ მოლაქლაქე ლიდერად ვიცნობდით, ამიერიდან ჩასაბერი ინსტრუმენტების „უბადლო შემსრულებლადაც“ უნდა ვაღიაროთ. დიახ, როცა ასე ოსტატურად ფლობ სასტვენს, თანაც ფილტვების შესაშურ მზადყოფნას ამჟღავნებ, სრული უფლება გაქვს, პრეტენზია რომელიმე პოპულარული სასულე ორკესტრის წევრობაზე გამოთქვა.

სხვათა შორის, დარბაზში შესვლამდე „ფსევდოევროპული საქართველოს“ თვალხატულა წევრმა ტელეინტერვიუში ისე უტიფრად განაცხადა, ხალხი **გახარია-თვალთხარიას** მღერისო, თითქოს მას წარამარა **ხოშტარია-ხოშტერიად** არ მოიხსენიებდნენ! რას ვიზამთ, ეტყობა, ასეთია გახრწნილი ნაცების პოლიტიკური თავისებურებანი — მთავარია, რამე დააბრეხვო, პასუხი მაინც არ მოგეთხოვება და ყველაფერი ხახვივით შეგრჩება.

ჰო მართლა, კინაღამ დაგვავიწყდა, რომ სათანადო დითირამბები მიგვეძღვნა პირმშვენიერი ელენეს ღირსეულ პარტნიორთათვის. მართლაც, ძნელია, ინატრო **ირმა ნადირაშვილზე** და მძიმე არტილერიად შერაცხილ **ხათუნა გოგორიშვილზე** უკეთესი თანამებრძოლი, „სამ მუშკეტერს“ კი, დ'არტანიანი **ოთოია კახიძე** აბა, როგორ დააკლდებოდა?

მოკლედ, შემოდგომა ადუღებული ტვინების დემონსტრირებით დაიწყო და, ვიმედოვნებთ, საცირკო წარმოდგენები არც მომავალში მოგვაკლდება.

ქოცებო და უმრავლესობის მხარდამჭერებო, ეს მარაზმი უნდა დამთავრდეს! ქვეყანა ნაცებისგან უნდა ვიხსნათ!

გია პლატონიშვილი

გიორგი გახარიამ პარლამენტს მთავრობის ახალი შემადგენლობა წარუდგინა



პარტია „ქართულმა ოცნებამ“ საკანონმდებლო ორგანოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გიორგი გახარიას კანდიდატურა წარუდგინა. თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა, გიორგი გახარიამ პარლამენტს მინისტრთა კაბინეტის ახალი წევრები წარუდგინა.

სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით ბიუროს გუშინდელ სხდომაზე იმსჯელეს. „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად გიორგი გახარია დაასახელა, გიორგი გახარიამ შს მინისტრად ვახტანგ გომელაურის, ხოლო თავდაცვის მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურები წარადგინა. უსაფრთხოების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე წარდგენილია თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია. მთავრობის შემადგენლობაში სხვა ცვლილებები არ იგეგმება.

ბიძინა ივანიშვილი: ვფიქრობ, გიორგი გახარიამ საკუთარი საქმიანობით დაიმსახურა პრემიერ-მინისტრობა!

ვფიქრობ, გიორგი გახარიამ საკუთარი საქმიანობით დაიმსახურა პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარდგენა, — განცხადება ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში, პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და უმრავლესობის სხდომის შემდეგ, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის პოლიტსაბჭოზე, მე როგორც თავმჯდომარემ, წარვადგინე პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა გიორგი გახარიას სახით და მივიღე სრული მხარდაჭერა. შემდგომ შეხვედრა გვქონდა უმრავლესობასთან და იქ კითხვები არ დასმულა. ეს არის ჩვენი არჩევის ობიექტური შეფასება. ჟურნალიტებიც და საზოგადოებაც კარგად იცნობს გიორგი გახარიას. ვფიქრობ, მან საკუთარი საქმიანობით, დაწყებული ბიზნესომბუდსმენიდან, შემდეგ იგი იყო ეკონომიკის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მან ღირსეულად დაიმსახურა ამ პოსტზე წარდგენა. ვფიქრობ, პარლამენტი მას აუცილებლად დაამტკიცებს. კიდევ ერთხელ მინდა, წარმატებები ვუსურვო მომავალ საქმიანობაში“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერად გახარია!

გზავნილი ქვეყნის მმართველ გუნდს

შინა მტრისთვის ლახვარია,
გარე მტრისთვის ლახვარია,
ვერ იტანს, ვინც ახვარია,
მიტომ ვნატრობ, რა ხანია,
პრემიერად გახარიას!

ალექსანდრე შენგელია

ქუთაისი, 1 სექტემბერი

სააკაშვილის „ხმა სამარიდან“...

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში მიმდინარე სამთავრობო ცვლილებებს ეხმიანება და სოციალურ ქსელ ფეისბუქზე განცხადებას აქვეყნებს.

„ივანიშვილის ბოლო ნაბიჯები მთლიანად აცლის მის ხელისუფლებას ლეგიტიმურობას. ეს აღარაა კანონიერი ხელისუფლება, არამედ არის მოძალადე უზურპატორის რეჟიმი. ხოლო მოძალადე უზურპატორის წინააღმდეგ ნებისმიერი ქმედებები მორალის ფარგლებში, გამართლებულია ისტორიულად, სამართლებრივად, ზნეობრივად.

საქმე ეხება ქვეყნის ყოფნა-არყოფნას. ერთადერთი რისი უფლებაც არ გვაქვს, არის უმოქმედობა და დანებება“, — წერს მიხეილ სააკაშვილი.

გრიგოლ ვაშაძე დღეს პირველი მტყუარაა!

ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე გიორგი გახარიას დამტკიცება არ მოხდეს, — ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძემ გიორგი გახარიას პრემიერად წარდგენასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ საზოგადოებაში გაგრძელდეს პოლიტიკური სამოქალაქო ომი და დაპირისპირება, რომ საშუალება არ მისცეს სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისთვის.

„იმის ნაცვლად, რომ წყნარად და მშვიდად მოვემზადოთ საპარლამენტო არჩევნებისთვის, ერთი პროვოკაციული ნაბიჯი იცვლება მეორეთი. გახარიას წარდგენა პრემიერ-მინისტრის პოსტზე არის შეფურთხება ჩვენი სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის, მთელი ოპოზიციური სპექტრისთვის და განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, ვინც თავის კონსტიტუციურ უფლებებსა და ქვეყნის ინტერესებს იცავდნენ 20 ივნისს, რომლებმაც ჯანმრთელობა დაკარგეს. არც ერთი ამ ადამიანის ჯანმრთელობა არ ღირს არც გახარიად და არც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებად, რომელიც განწირულია, დაპირისპირებულია საქართველოს მოქალაქესთან და ოპოზიციურ სპექტრთან. ყველაფერი უნდა გააკეთოს ოპოზიციამ, საზოგადოებამ, რათა პრემიერ-მინისტრის პოსტზე გახარიას დამტკიცება არ მოხდეს. კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, შეცვალეთ ეს კანდიდატურა, ნუ გაამწვავებთ დაპირისპირებას“.

კომუნიკაციების კომისიამ „ტვ პირველი“ დააჯარიმა

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „პირველი“ ეთერში მხატვრული ფილმების არამართლზომიერი ჩვენების გამო, 23513.21 ლარით დააჯარიმა. ამის შესახებ ინფორმაციას კომუნიკაციების კომისია ავრცელებს.

„კომპანიის მხრიდან კანონდარღვევის ჩადენის დენადი ხასიათის გამო, აღნიშნული ოდენობის ჯარიმა მაუწყებელს, კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ოდენობით, კომპანიის წლიური შემოსავლის 0.6 პროცენტი დაეკისრა.

2019 წლის 29 ივნისიდან 2 ივლისის პერიოდში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ „ტვ პირველის“ ეთერში ნაჩვენებია ფილმები, რომლის მართლზომიერი ჩვენების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კომპანიას არ გააჩნია. კომისიის მხრიდან არაერთი მცდელობისა და კომპანიისთვის დამატებითი ვადის მიცემის მიზნით კომისიის სხდომების გადადების მიუხედავად, ტელეკომპანიამ აღნიშნულ ფილმებზე შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოადგინა“, — აცხადებენ კომისიაში.

მსგავსი კანონდარღვევის გამო, კომისიამ „ტვ პირველი“ 2019 წლის 7 მარტს წერილობით გააფრთხილა, ხოლო 30 მაისს ფინანსური ჯარიმა, კომპანიის შემოსავლის 0.1 პროცენტი — 3496.74 ლარის ოდენობით დააკისრა.

საქსტატი

ერთ წელიწადში სურსათი — 8 პროცენტით, თამბაქო კი 29 პროცენტით გაძვირდა!

საქსტატის მონაცემებით, ბოლო ერთ წელიწადში სურსათი და უალკოჰოლო სასმელები საქართველოში 8.0 პროცენტით გაძვირდა.

2019 წლის აგვისტოს მონაცემებით, ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი — 18.2 პროცენტი, თევზეული — 16.3 პროცენტი, პური და პურპროდუქტები — 12.4 პროცენტი, შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული — 11.0 პროცენტი, ხორცი და ხორცის პროდუქტები — 9.3 პროცენტი, რძე, ყველი და კვერცხი — 6.5 პროცენტი, ასევე მინერალური და წყაროს წყალი — 4.7 პროცენტი.

ამასთან, ფასები შემცირდა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე წლიურად 3.4 პროცენტით.

ყველაზე მეტად ბოლო ერთ წელიწადში გაძვირებულია თამბაქო — 29.1 პროცენტით. ამასთან, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში ფასები გაიზარდა 13.8 პროცენტით.

ტრანსპორტის ჯგუფში აღირიცხა ფასების 4.4-პროცენტიანი მატება. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე 8.4 პროცენტით, პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე — 4.9 პროცენტით და სატრანსპორტო მომსახურებაზე — 2.1 პროცენტით.

დასვენების, გართობისა და კულტურის ჯგუფში ფასები გაზრდილია 6.2 პროცენტით. 6.6 პროცენტით გაძვირდა გასართობი და კულტურული მომსახურება.

ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში ფასები მომატებულია 3.9 პროცენტით. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა — 5.8 პროცენტით, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება — 3.6 პროცენტით და საავადმყოფოების მომსახურება — 1.7 პროცენტით.

საქსტატის მონაცემებით, აგვისტოში წლიური ინფლაცია 4.9 პროცენტამდე გაიზარდა, თამბაქოს გარეშე კი, 4.2 პროცენტამდე. ამასთან, 2019 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 0.8 პროცენტი შეადგინა.

ბიზნესსექტორში 31 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა, საშუალო ხელფასი 90 ლარით გაიზარდა

2019 **წლის** მეორე კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 31 ათასით გაიზარდა და 687.9 ათასი შეადგინა. მონაცემებს საქსტატი აქვეყნებს.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.5 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21.4 პროცენტი — საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 42.1 პროცენტი — მცირე ბიზნესზე. ამასთან, საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის მეორე კვარტალში საშუალო ხელფასი თვეში ბიზნეს სექტორში 1 241.1 ლარს გაუტოლდა. გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, ეს 90.7 ლარით მეტია.

საწარმოთა ზომის მიხედვით, საშუალო ხელფასი თვეში შემდეგნაირია: მსხვილი ბიზნესი — 1 251 ლარი, საშუალო ბიზნესი — 1 407.7 ლარი, მცირე ბიზნესი — 1 132.6 ლარი.

რა იქნება ხვალ?!

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის პაატა სალიას განცხადებით, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“ პირდაპირ ეთერში რამდენიმე დღეში დაბრუნდება.

„რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას პაატა სალია განმარტავს, რომ 16 სექტემბრამდე, ვიდრე დილისა და შუადღის გადაცემების სეზონი დაიწყება, „კურიერი“ ეკრანზე დაბრუნდება, თუმცა ის არ ასახელებს საინფორმაციო გამოშვების წამყვანთა ვინაობას: **„თავს შევიკავებ იმ ადამიანების დასახელებისგან, რომლებიც წავიდნენ და სურთ დაბრუნება, ასევე არ მინდა დავასახელო სხვა არხიდან გადმოსული ჟურნალისტები და პროდიუსერები, სანამ არ გავაფორმებთ ხელშეკრულებებს, რადგან ყოველ ჯერზე, როდესაც ცხადდება ამ ადამიანების კანდიდატურა, იწყება მათი „მხილება“ მედიაში და გვინდა, დავიცვათ ისინი ამ ზეწოლისგან. აუცილებლად იხილავთ ამ სახეებს „კურიერის“ ეთერიდან“.**

რაც შეეხება ირაკლი იმნაიშვილს, მასთან კვლავაც მიმდინარეობს მოლაპარაკება. სალია ამბობს, რომ იმნაიშვილს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია საქმიანობა თავის სამუშაო ადგილას და, როგორც კი მოგვარდება გარკვეული საკითხები, გადაწყვეტილებას გაასაჯაროებენ. „რუსთავი-2“-ის არაერთმა თანამშრომელმა „ფეისბუქზე“ დაწერა, რომ ტოვებს არხს, თუმცა, პაატა სალიას თქმით, ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ არხის თანამშრომელია.

„მე ვერ ვიხელმძღვანელებ „ფეისბუქზე“ განთავსებული პოსტებით. განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ ძალიან ბევრ ადამიანს არ დაუწერია. შესაბამისად, დავეღოდოთ, ჩამოვიდეს ყველა შვებულებიდან“.

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი კიდევ ერთ სიახლეზე ამახვილებს ყურადღებას: **„დღეს დავიბრუნეთ „კომედი არხი“, აღვადგინეთ „კომედი არხის“ ლოგო და უკვე განთავსებულია შესაბამისი გადაცემები“.**

სალია განმარტავს, რომ, კომპანია „კომედი არხი“ შეიძინა გვარამიამ და იმ სიხშირეზე გავა „მთავარი“, „კომედი ჯგუფის“ გადაცემები კი ახლა არხ „მესამის“ სიხშირეზე გადაინაცვლებს. შეგახსენებთ, რომ არხი „მესამე“ „ფორმულა კრეატივს“ ეკუთვნოდა, თუმცა მათ ახალი არხის გახსნა გადაწყვიტეს.

ანა ბურდული

„პატრიოტთა ალიანსი“ კვლავ ითხოვს სააკაშვილი-ბოკერიას რეჟიმის გასამართლებას!

„პატრიოტთა ალიანსი“ კვლავ ითხოვს „სააკაშვილი-ბოკერიას რეჟიმის“ რეზოლუციის განხილვას. აღნიშნული ინფორმაცია პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააჟღერა დეპუტატმა გიორგი ლომიამ „პატრიოტთა ალიანსიდან“.

„ჩვენ კვლავ შემოვიტანეთ ნაციონალური მოძრაობის დამნაშავე რეჟიმად გამოცხადების რეზოლუციის პროექტი. იმედი გვაქვს, რომ ახლა მაინც დაგვიჭერთ მხარს. ვითხოვთ, რომ შეწყდეს ყოველგვარი კოჰაბიტაცია ხელისუფლებასა და დამნაშავე რეჟიმს შორის...

„დღეს ნაცმოძრაობა და სააკაშვილი-ბოკერიები არიან ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი მეტასტაზები. მე მესმის, რომ კიბოს უნდა უმკურნალო პირველ სტადიაზე. თქვენ მეოთხე სტადიამდე მიუშვით ეს მეტასტაზები და ჩვენი ქვეყნის განუკურნებელი სენია უკვე. ჩვენ „პატრიოტები“ არ დავუშვებთ, რომ მათ ჩაიგდონ ძალაუფლება ხელში. ჩვენ გავაგრძელებთ აქციებსაც, გავაგრძელებთ მსვლელობებს და საბოლოო ჯამში ჩვენ დავამთავრებთ თქვენს კოჰაბიტაციასაც და მათ, როგორც პოლიტიკური ძალის, არსებობასაც“.

ᲐᲮᲐᲚᲒᲝᲠᲘ ᲓᲐᲪᲐᲠᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘᲐ!..

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ცხინვალის ხელისუფლება ახალგორელი ქართველების წინააღმდეგ მორიგი შეზღუდვების ამოქმედებას გეგმავს და როგორც უკვე ტრადიციად იქცა, ეს ეხება საქართველოში გადაადგილების შესაძლებლობას.

გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის მქონე საბიუჯეტო სფეროს წარმომადგენლებს შეეზღუდებათ საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა. ისინი საქართველოში გადასვლას მხოლოდ თვეში ერთხელ შეძლებენ.

სამოქალაქო აქტივისტის თამარ მეარაყიშვილის თქმით, ამ ზომის ერთ-ერთი ინიციატორია ახალგორის „ახალი მერი“, რომელიც ამბობს, რომ ადამიანები ფულს ოსეთში შოულობენ, საქართველოში კი ხარჯავენ. მისი თქმით, ეს რეალობა უნდა შეიცვალოს.

„აქაურებს არ უკვირთ ხშირ-ხშირი სიურპრიზები, ამიტომაც ყველა შეშინებულია. საჯარო სფეროში მომუშავე ადამიანთა 70% ცხოვრობს ახალგორში და წეროვანში, და თუ მათ შეეზღუდებათ გადაადგილების საშუალება, მოუწევთ არჩევანის გაკეთება,“ — ამბობს ის.

ახალგორში ყველას სჯერა ამ ჭორების — მეარაყიშვილის თქმით, აქაურ მოსახლეობაზე მუდმივად ტარდება სხვადასხვა ექსპერიმენტები და საზღვრის გადაკვეთის წესები წელიწადში რამდენიმეჯერ იცლება.

გადაადგილების გამკაცრების საკითხის განხილვა ჯერ კიდევ 23 აგვისტოს დაიწყო, როდესაც „სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოზე“ განაცხადეს, რომ შეუძლებელია ე.წ. სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოსთან საზღვრის გადაკვეთის წესების დარეგულირების გარეშე“.

ამჟამინდელი ე.წ. პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების უფლება სულ უფრო და უფრო იზღუდება — ე.წ. საზღვარი სულ უფრო ხშირად და დიდი ხნით იკეტება. 2019 წელს დამყარებულ იქნა რეკორდი — კარანტინის საბაბით საზღვარი 2,5 თვით დაიკეტა.

ასევე 2019 წელს გამოიგონეს ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ახალი წესები — თუ ადრე ამისთვის საკმარისი იყო სამხრეთ ოსური პასპორტი, დღეს უკვე საჭიროა სპეციალური საშვის მიღება — რაც თავისთავად ხანგრძლივი პროცედურაა, რომელიც ასევე შეიცავს დიდ კორუფციულ რისკებს.

დღეს „რაიონის ხელისუფლება“ აანონსებს მორიგ სიახლეს, რომლისგანაც არავინ ელის კარგს არაფერს.

„თუ ადამიანებს შეეზღუდება გადაადგილების შესაძლებლობა, ისინი დატოვებენ აქაურობას. ახალგორი დაცარიელდება და ეს გარდაუვალია,“ — ამბობს თამარ მეარაყიშვილი.

თუმცა, ამას ყველაფერს დღეს უკვე დაემატა პოლიტიკური საკითხი — კერძოდ, ქართული მხარის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსებთან შეუთანხმებლად დაყენებული ბლოკპოსტი. არაა გამორიცხული, რომ ამის საპასუხოდ, ცხინვალის ხელისუფლებამ საერთოდ ჩაკეტოს საზღვარი და აუკრძალოს გადაადგილება ყველა ახალგორელს.

დღეს ეს უკვე საკმაოდ რეალური პერსპექტივაა.

EKHOKAVKAZA.COM

...ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ „ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ“ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲠᲔᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის ინფორმაციით, სექტემბერში ე.წ. საზღვარზე რუს მესაზღვრეებთან ერთად დაგეგმილია ერთობლივი რეიდების ჩატარება.

„ღონისძიებები ითვალისწინებს კონტროლის გამკაცრებას სახელმწიფო საზღვრის რეჟიმზე, სასაზღვრო ზონაში ფიზიკური პირებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესვლასა და ყოფნაზე. ასევე საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებში დაგეგმილია კარდაკარ შემოწმების უფრო ინტენსიური გრაფიკით ჩატარება. კომიტეტი მოუწოდებს საზღვრისპირა დასახლებებში მცხოვრებლებს, სახლიდან გასვლისას თან იქონიონ დოკუმენტები და გაგებით მოეკიდონ უსიამოვნებას, რომელიც შეიძლება, შეიქმნას ღონისძიებების გატარების დროს“, — ნათქვამია საოკუპაციო რეჟიმის მეირ გავრცელებულ განცხადებაში.

ამავე ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ „ცოდნის დღის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების გამო, საოკუპაციო რეჟიმი 4 სექტემბრის 20:00 საათიდან ორი დღით საქართველოს ე.წ. საზღვარს ჩაკეტავს“.

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ: ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ 2008 ᲬᲔᲚᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ 20 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ, ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲖᲔᲓᲛᲔᲢ ᲔᲜᲔᲠ�გᲘᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲘᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲐ�გᲘᲕᲠᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲢᲕᲔᲜᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზვიად ძიძიგურმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

როგორც ზვიად ძიძიგურმა აღნიშნა, წინა ხელისუფლებამ პარლამენტის შენობა ქუთაისში გადაიტანა, რადგან პარლამენტის წინ მაშინ საპროტესტო აქციები იყო და თავი აარიდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება კი პირიქით მოიქცა, რადგან მიაჩნია, რომ საპროტესტო აქციები პარლამენტის გარეთ ან პარლამენტის შიგნით ეს არის კონტიტუციური მოვლენა.

მისივე თქმით, 2008 წელს ტერიტორიების 20% წინა ხელისუფლებამ ოკუპანტ რუსებს ჩააბარა და მათგანის შენიშვნის მიღება და ოკუპაციაზე ლაპარაკი მიუღებელია.

„გიორგი გახარიაზე მინდა ვთქვა, ძალიან ნერვიულობენ ბატონ გიორგი გახარიაზე, თურმე ეს არის ადამიანი, რომელსაც მოსახლეობის ნაწილი უპირისპირდება, გეტყვით, რომ გაცილებით დიდი ნაწილი მათი მხარდამჭერია. მე ვნახე ჩემი საკუთარი თვალით რეგიონებში მოსახლეობის პოზიცია გახარიას მიმართ, ამიტომ ნუ ინერვიულებენ იმაზე, თურმე პრემიერად გახარიას დანიშვნა დააზარალებს „ქართულ ოცნებას“, ზედმეტ ენერგიას ნუ დახარჯავენ ჩვენი ოპონენტები და იმაზე ინერვიულონ, რომ ლაპარაკის მაგივრად მხოლოდ სტვენა შეუძლიათ“, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲕᲔᲨᲘᲜᲓᲔᲡ!

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐᲨᲘ, ქალაქ ბლედში გამართულ სტრატეგიულ ფორუმზე ევროკავშირის გაფართოების საკითხებზე იმსჯელეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფორუმზე აღინიშნა, რომ ევროკავშირისთვის გაფართოება კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩება და დასავლეთ ბალკანეთის მაგალითი რეგიონის სხვა ქვეყნებზეც უნდა აისახოს.

ესტონეთის პრეზიდენტის კერსტი კალიულაიდის თქმით, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების გარდა, არიან სხვა ქვეყნებიც, რომლებიც ევროპისკენ იყურებიან და ითხოვენ, რომ ერთ დღესაც მათაც მიეცეთ შანსი.

„გაიხსენეთ საქართველო. მთავარი მიზეზი, თუ რატომაა მნიშვნელოვანი ის, რომ ჩვენ არ მივუხუროთ კარი საქართველოს, არის ოკუპაცია. საქართველოს ტერიტორია ნაწილობრივ ოკუპირებულია და ეს გაყინული კონფლიქტიც კი არ არის. ოკუპაცია სამხრეთ ოსეთში ამ წუთებშიც მიმდინარეობს“, — განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, თუ საქართველო შეძლებს, გახდეს ისეთივე კარგი რეფორმატორი ქვეყანა, როგორებიც დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები არიან, ევროკავშირმა გაწევრიანების პერსპექტივა საქართველოსაც უნდა შესთავაზოს. ამ პერსპექტივაზე უარის თქმა ევროპის ნაწილზე რუსეთის გავლენის აღიარება იქნებოდა.

„თუ საქართველოს ამ პერსპექტივაზე უარს ვეუბნებით მხოლოდ იმის გამო, რომ გვეშინია რუსეთის რეაქციის, ეს არის სიგნალი, რომ კვლავაც რუსეთი გვკარნახობს, ვის შეუძლია დასავლური ორიენტაციის არჩევა და ვის არა“, — აღნიშნა კერსტი კალიულაიდმა.

ევროკავშირის გაფართოებისადმი მტკიცე მხარდაჭერა გამოხატა ასევე სლოვენიის პრეზიდენტმა ბორუტ პაჰორმა. მისი თქმით, ეს საკითხი მუდმივად უნდა რჩებოდეს ევროკავშირის დღის წესრიგში. ევროკავშირმა უნდა განაგრძოს რეგიონის ქვეყნების დახმარება, რათა მათ შეძლონ გაწევრიანებისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესრულება.

„ევროპას არა აქვს ალტერნატივა, ყოველ შემთხვევაში, კარგი ალტერნატივა, როდესაც საქმე შეეხება მშვიდობასა და სტაბილურობას“, — განაცხადა ბორუტ პაჰორმა.

20 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲡ ᲐᲠᲐ „ᲒᲐᲕᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ „ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲢᲣᲠᲛᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ“ ᲰᲥᲕᲘᲐ

ᲐᲛᲘᲡ შესახებ დეპუტატმა გია ჟორჟოლიანი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას გუშინ განაცხადა.

„მინდა, ჩვენი სახელით მივმართო უმრავლესობას, მედიას, საზოგადოებას, სიტყვებს აქვს მნიშვნელობა. ძალიან ბევრი თქვენგანი და ჟურნალისტები გამუდმებით იმეორებენ სიტყვებს „გავრილოვის ღამე“. ეს არის მცდელობა, აღნიშნული ტრაგიკული მოვლენები სწორედ იმ რაკურსში იყოს წარმოდგენილი, რომელიც იმ ჯგუფს აწყობდა და, რომელიც იმ დღეს აბსოლუტურად სხვა რამეს ახორციელებდა. იმას, რაც 20 ივნისს მოხდა, „გავრილოვის ღამე“ არ ჰქვია, ამას „პარლამენტის შტურმის ღამე“ ჰქვია. თუ წავუყრუებთ, ეს საზოგადოებაში დამკვიდრდება, ვითომ, გავრილოვი საქართველოს ისტორიისთვის ან მნიშვნელოვანი ფიგურაა ან ის ამბავი იყო მთავარი. არა, მთავარი იყო პარლამენტის შტურმი და ეს პარლამენტის შტურმის ღამე იყო“, — განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.

მან დეპუტატებსა და მედიას მიმართა, სიტყვები **„გავრილოვის ღამე“ არ გამოიყენონ. „ამ სიტყვებს, რომლებიც„ ნაციონალური მოძრაობის“ პიარის ნაწილია და გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორების, ყველა შემთხვევაში ამას შევეწინააღმდეგებით და მოგიწოდებთ, ყველაფერს, რაც არის რეალობა და ფაქტი, თავისი სახელი დავარქვათ. ეს „პარლამენტის შტურმის ღამე“ იყო“,** — განაცხადა დეპუტატმა გია ჟორჟოლიანმა.

„სახელმწიფომ კი არ უნდა ააშენოს ანაკლიის პორტი, არამედ თავად უნდა შევიდეს 42 %-იან წილში“

რამდენიმე დღის წინათ ეკონომიკის ექსპერტმა **გიორგი ცუცქირიძემ** სოციალურ ქსელში ახალი ინიციატივა გაავრცელა. მისი თქმით, თუ კონსორციუმი ვერ მოძებნის პროექტიდან გასული ამერიკული კონტის ალტერნატივას, სახელმწიფომ კი არ უნდა ააშენოს ანაკლიის პორტი, არამედ თავად უნდა შევიდეს 42 %-იან წილში.

ამ სიახლეს სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

ეს საკითხი „კომერსანტთან“ დარგის სპეციალისტებმა განიხილეს.

ანაკლიის პორტის მშენებლობაში ხელისუფლების მიერ 42 %-იანი წილით შესვლას „ყველაფრისმცოდნე ექსპერტები“ გია ხუხაშვილი და ზვიად ხორგუაშვილი ურთიერთსაპირისპირო არგუმენტებით ამყარებენ. მათი პოზიციები განსხვავებულია, თუმცა ერთ რამეში თანხმდებიან — რუსული ინტერესები.

გია ხუხაშვილი: „შეიძლება, ცუცქირიძე ხელისუფლების მესიჯებს აჟღერებდეს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, მე სახელმწიფოს მიერ 42 %-იანი წილის შეძენას მივესალმები და არამგონია, თავად კონსორციუმი იყოს ამის წინააღმდეგი. მივესალმები იმიტომ, რომ საუბარია მინორიტარულ წილზე, ანუ უფრო ნაკლები, ვიდრე ხაზარაძის წილი. შესაბამისად, ხელისუფლება ვერ იქნება გადაწყვეტილების მიმღები და ვერც პროექტს ჩაშლის. ერთადერთი გასათვალისწინებელია სახელშეკრულებო პირობები. ვფიქრობ, აქციების გამოსყიდვის ოფცია უნდა დაიტოვოს მაჟორიტარმა აქციონერმა, ანუ თუ რაიმე ეჭვები გაჩნდება, ხაზარაძეს ჰქონდეს უფლებამოსილება, გამოისყიდოს ის წილებიც. თუმცა, მე არ მგონია, რომ ხელისუფლება 42 %-იანი წილით შევიდეს პროექტში, რადგან სულ სხვა ამოცანა აქვს. მას საერთოდ კონსორციუმის გაყვანა უნდა თამაშიდან და მთელ ამ პერიოდში ზუსტად ამის მცდელობა ჰქონდა. ახლა უცებ წილში შესვლა ალოგიკური მგონია. მაშინ რა საჭირო იყო ამდენი ბრძოლა?!“

ხუხაშვილისგან განსხვავებით, ზვიად ხორგუაშვილი დაუშვებლად მიიჩნევს ხელისუფლების მიერ პორტის მშენებლობას ან რაიმე წილით პროექტში შესვლას. მისი თქმით, ეს ბიზნესის საქმეა. თანაც, იმის გამოცდილება, რომ პროექტს მთავრობა წარმატებით აკეთებდეს, ფაქტობრივად, არ არსებობს. ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი, რის გამოც ხელისუფლება ანაკლიის პროექტში არ უნდა ჩაერთოს, ეს მისი დამოკიდებულებაა. ხორგუაშვილი დარწმუნებულია, რომ მმართველი ძალა იყო და არის ერთადერთი, ვინც პორტის აშენებას დღემდე ხელს უშლის:



„ძალიან ცუდი იდეა აქვს ცუცქირიძეს, რადგან ანაკლიის პორტის აშენებაზე არანაირი პრობლემა არ არსებობდა, სანამ სახელმწიფო არ გამოჩნდებოდა და არ არევდა სიტუაციას. მან პრობლემები შეუქმნა არამხოლოდ ორ კონკრეტულ პიროვნებას, არამედ მთლიანად დიდ სისტემას — თიბისი ბანკს, თიბისი კაპიტალს და უშალოდ ამ პროექტს. ინვესტორები სწორედ ხელისუფლების განცხადებების გამო დაფრთხნენ“.

გარდა ხელისუფლების მიერ ანაკლიის პროექტისადმი ხელშემშლელი ქმედებებისა, ხორგუაშვილი ყურადღებას კიდევ რამდენიმე ფაქტორზე ამახვილებს:

„ნებისმიერ შემთხვევაში პორტი უნდა ააშენონ ინვესტორებმა, კერძო სექტორის ჩართულობით, სხვა არავინ. რატომ? - პირველი იმიტომ, რომ ზოგადად მთელ მსოფლიოში და ისტორიის მანძილზე ეკონომიკური თვალსაზრისით სახელმწიფოზე უკეთესი დამგეგმავია კერძო სექტორი და კომპანიები. ყველა კველევა ამას ცხადყოფს და ეს კარგად ჩანს თუნდაც სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც. საუბარია ხელისუფლების მიერ პორტის აშენებაზე, როცა მისი უმეტესი პროექტები კეთდება ან ძალიან ძვირად, ან ძალიან დაგვიანებით ან საერთოდ არ კეთდება. შესაბამისად ის, რომ სახელმწიფო რამეს კარგად გააკეთებს, ამის ილუზია არ უნდა გვქონდეს. ხელისუფლება ძალიან არაეფექტიანია“.

მეორე მნიშვნელოვან ელემენტად ხორგუაშვილი შესაძლო და მოსალოდნელ რისკებს ასახელებს. მისი თქმით, მსგავს ვითარებაში თავისუფლად შესაძლებელია პროექტის პოლიტიზირება:

„წარმოიდგინეთ, ორი პარტნიორი აკეთებს საქმეს და მათ შეიძლება, მოუვიდეთ დავა, რაც ხშირად ხდება. როცა სახელმწიფოა, ერთმნიშვნელოვნად ის გკარნახობს და გიწესებს პირობებს. ნებისმიერ შემთხვევაში შენ გიწევს, მას დაეთანხმო. განსხვავებით იმ გარემოებისგან, როცა საქმე სახელმწიფოსთან არ გაქვს და საბაზრო პირობები გკარნახობს ყველაფერს. კიდევ ერთხელ — ხელისუფლების მიერ ბიზნესში ჩართულობა კომუნისტური და საბჭოური გამოცდილებაა, რაც არასწორია“, — ამბობს ხორგუაშვილი.

ანაკლიის პროექტში ხელისუფლების ჩართულობის ერთადერთ ალტერნატივად ზვიად ხორგუაშვილი კომუნიკაციების მიმართულებას ასახელებს. რაც შეეხება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ანაკლიის პროექტის ჩავარდნა რუსული ინტერესების მთავარი მიზანია, ექსპერტი ამაში დარწმუნებულია. ხელისუფლება კი გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად აღნიშნულს ხელს უწყობს:

„თუ ვსაუბრობთ, მაგალითად, ელექტროგაყვანილობაზე ან გზებზე და ა.შ. აქ შესაძლებელია სახელმწიფო ჩაერთოს, რადგან დღეს აღნიშნული საქმიანობით ისაა დაკავებული. ხელისუფლებას პროექტის წილის შეძენა იმიტომ სურს, რომ რუსეთის გამო ხელი შეუშალოს მის განხორციელებას. აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი:

აშკარაა და ამას დასავლეთიც ადასტურებს, რომ პროექტის ჩავარდნა რუსეთის ინტერესებშია. მთელი ამ დროის მანძლზე კი ვუყურებდით იმას, რომ ერთადერთი, ვინც ანაკლიის პორტის აშენებას ხელს უშლის, ეს საქართველოს მთავრობაა. შესაბამისად, ნებსით თუ უნებლიეთ, მთავრობამ ითამაშა რუსული თამაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ მართლაც შეიტანა ანაკლიის პორტის 42 %-იანი წილი, ეს უკვე იქნება დემონსტრაციული ხელისშეშლა. სხვათაშორის, მთავრობას სჩვევია ამგვარი მიდგომა — დემონსტრაციულად გააკეთოს ცუდი საქმე, რათა ხალხს თავისი ძალა დაანახვოს და ძალაუფლება გაიძლიეროს“.

დენი არ გაძვირდება! გაზის ტარიფი შეიცვლება

სემეკმა ბუნებრივი აირის ტარიფების გადახედვის პროცესი დაიწყო. ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას 180 დღე აქვს იმისთვის, რომ ახალი ტარიფი დაადგინოს, რომელიც მომავალი წლიდან ამოქმედდება. სავარაუდოა, რომ დენის ტარიფი უცვლელი დარჩება, მაგრამ გაზი გაძვირდება. ენერგოსეექტორი ლარის მუდმივი გაუფასურების გამო დიდ წნეხშია.

სემეკს კომპანიებმა ახალი სატარიფო განაცხადით უკვე მიმართეს. მათ წარმოდგენილი აქვთ საკუთარი ფინანსური მაჩვენებლები — შემოსავლები, დანახარჯები — სწორედ ამ დოკუმენტაციის საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მარეგულირებელმა. ლარის დევალვაციიდან გამომდინარე არსებობს რეალური საფრთხე, რომ გაზი გაძვირდეს.

„წინა წელსაც გვქონდა ასეთი შემთხვევა, იყო საუბარი იმაზე, რომ გაიზრდებოდა ტარიფი, მაგრამ მოხდა გაზის მომწოდებელ აზერბაიჯანულ კომპანისთან შეთანხმება სახელმწიფოს მიერ, დაბალ ფასად მოგვაწოდეს გაზი და არ გახდა საჭირო გაძვირება. ახლაც შეიძლება იგივე განმეორდეს. ვერც ერთი კომპანია ვერ განსაზღვრავს იმას, მისი ტარიფი გაიზრდება თუ არა. ეს დამოკიდებულია სემეკზე“, — აცხადებს შპს „ვარკეთილაირის“ დირექტორის მოადგილე **იპოლიტე გაფრინდაშვილი**.



გარდა ბუნებრივი აირის ტარიფისა, არსებობს საშიშროება, რომ გაიზარდოს ელექტროენერგიის გადასახადიც. სემეკის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის დირექტორი **გივი სანიკიძე** ამბობს, რომ კომისიაში იწყებენ ადმინისტრაციულ წარმოებას, რომ მოხდეს მარეგულირებელი აუდიტი, ანუ დეტალურად გააანალიზდეს და შეისწავლონ ყველა ის კომპონენტი, რომელიც კორექტირებას მოიითხოვს.

„ანალიზის ფარგლებში გამოვლინდება მიზანშეწონილი, გონივრული დანახარჯი, რომელიც უნდა ყოფილიყო გაწეული, ანუ დადგინდება საბოლოო მაჩვენებლები და ის თუ დარჩა 10%-იანზე მაღალ მაჩვენებელში, საბოლოო გადაწყვეტილებას კომისია მიიღებს. თუ საბოლოო აუდიტის შედეგად დადასტურდა ის, რომ მიზანშეწონილი გონივრული დანახარჯის ოდენობა საკორექტირო კომპონენტების ნაწილში აჭარბებს მთლიანი შემოსავლის 10%-ს, მაშინ პირველი იანვრიდან ახალი ტარიფი დადგინდება „სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“, — განუცხადა „ბიზნესს“ სანიკიძემ.

მისივე ინფორმაციით, 2020 წელს ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის გადახედვა არ იგეგმება, რასაც იზიარებენ ენერგეტიკოსებიც, მაგრამ ამბობენ იმასაც, რომ გაზის გადასახადის შენარჩუნების შანსი ძალიან მცირეა. ენერგეტიკოსი **გია არაბიძის აზრით**, ელექტროენერგიის ტარიფის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

„მესმის, ლარის კურსთან დაკავშირებული პრობლემა არის, მაგრამ ეს ფაქტორი ბოლომდე ვერ მოახდენს გავლენას. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ სემეკს შეუმცირდა ტარიფის დასადგენი სეგმენტი — თავისუფალ ბაზარზე დიდი მომხმარებლები გასული არიან, ამიტომ შეძლებენ, ტარიფი დაარეგულირონ ისე, რომ ამან კომუნალურ გადასახადზე არ იმოქმედოს.

საბოლოო ჯამში, ისე მიდის საქმე, რომ მოსახლეობას გადასახადი არ უნდა გაუძვირდეს. შესაძლოა, უმნიშვნელო ცვლილება მოხდეს, მაგრამ უშუალოდ განაწილებისა და გატარების კომპონენტებში. შარშან ამ დროს გაზის გადასახადი შეიცვალა, მაგრამ იმდენად უმნიშვნელოდ დაკორექტირდა, რომ მთლიანობაში სამომხმარებლო ტარიფი არ შეცვლილა“, — ამბობს არაბიძე და ვარაუდობს, რომ წელს ვითარება შეიცვლება და ბუნებრივი აირი მცირედით გაძვირდება.

ბექა დანელია

ქართული ქვევრის პრეზენტაცია პოლონეთში გაიმართა

პოლონეთში გამართულ მასშტაბურ ფოლკლორულ ფესტივალზე „Pannonica folk festival 2019“ **ქართული ქვევრის პრეზენტაცია მოეწყო. პროექტის მიზანია ქვევრის დამზადებისა და მის გამოყენების სრული ციკლის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ფესტივალზე ფილმის — „დამზადებულია ქვევრში“ ჩვენება გაიმართა, რომელშიც მოთხრობილია ქართული ღვინის კულტურისა და ქვევრის დამზადების ტექნოლოგიის შესახებ.**

ფესტივალზე თიხის გამოსაწვავი ღუმელის დემონსტრირებაც მოხდა. აღნიშნული ღონისძიება ფესტივალის ცენტრალურ ადგილას მოეწყო და ქვევრის ნახვის საშუალება ბევრ სტუმარს მიეცა.

ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია.

ფესტივალმა ასევე უმასპინძლა სემინარებს ქართული ღვინის შესახებ, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „ვინისფერას“ ხელმძღვანელი მარიუს კაპჩინსკი უძღვებოდა. მისი განცხადებით, მონაწილეები აღფრთოვანებულნი დარჩნენ ქართული ღვინითა და მისი კულტურით. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ქვევრის ღვინოები. საგამოფენო სივრცეს ღვინის პროფესიონალები, ღვინით ვაჭრობის სფეროს და მედიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ.

პოლონეთი ქართული ღვინის საექსპორტო ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება იმართება. ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში პოლონეთმა სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი. მიმდინარე წლის 8 თვის მონაცემებით, საქართველოდან პოლონეთში ექსპორტირებულია 2,5 მლნ-ზე მეტი ბოთლი ღვინო, ზრდამ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 20% შეადგინა.

„ლიბერთი ბანკის“ მოვალეა 417 ათასი ლარიბ-ლატაკი პენსიონერი



საქართველოში მცხოვრებ ყოველ მეორე პენსიონერს ბანკის ვალი აქვს. საპენსიო სესხში ისინი სხვა დანარჩენი მოსახლეობისგან განსხვავებით, ყველაზე მაღალ საპროცენტო განაკვეთს, 31%-ს იხდიან და პენსიის მესამედს, 65 ლარს, თვეების და ხშირად წლების განმავლობაში, ბანკში ტოვებენ.

82 წლის რუსუდან ქავთარაძემ საპენსიო სესხი პირველად რამდენიმე წლის წინათ გამოიტანა. მედიკამენტების შესაძენად არც ერთი და არც ორი თვის პენსია არ ჰყოფნიდა. იძულებული გახდა „ლიბერთი ბანკისგან“ სესხი აეღო. საპენსიო სესხისთვის საპროცენტო განაკვეთი იმდენად მაღალი იყო, რომ თვეების განმავლობაში, ფაქტობრივად, მთელ პენსიას ბანაკში ტოვებდა: „არ ვიცი, რა იყო ასეთი. მაღალი პროცენტი იყოო სესხის დასაფარად დაწესებულიო. კარგად ვერც გავიგე, რას მიხსნიდნენ. ის წამლები კი ვიყიდე მაშინ, მაგრამ რამდენიმე თვე პენსიის გარეშე დავრჩი“.

რუსუდანმა ცოტა ხნის წინათ ისევ სესხად გამოიტანა პენსია. ამჯერად ბანკში პენსიის მესამედს, 65 ლარს ტოვებს და 135 ლარით ცდილობს თავის გატანას. პერიოდულად ნათესავები ეხმარებიან. საბანკო ხელშეკრულების დავთარს თითს აყოლებს და ამბობს: „აი, ნახეთ, 2021 წელს დავფარავ სესხს და სრულ 200 ლარს ავიღებ. მანამდე ასე იქნება. 65 ლარი სხვისთვის შეიძლება არაფერი იყოს, მაგრამ ჩემთვის დიდი ფულია. რა ვიცი, 65 ლარით პატარა მარაგის გაკეთებაც შეიძლება, ცოტა შაქარი, ცოტა ბურღულეული, საპონი, კიდევ რაღაც-რაღაცები, მაგრამ, როცა სხვა გზა არა გაქვს და ფული გჭირდება, იძულებული ხარ, ისევ ბანკს მიადგე და პენსია წინმსწრებად გამოიტანო, მერე კი წლები იხადო ვალი. როცა გარშემო ყველა გაჭირვებულია, ვერავის აეკიდები, ფულს ვერავის სთხოვ, გირჩევნია, ისევ საკუთარ თავს ესესხო“.

ყოველ მეორე პენსიონერს ბანკის ვალი აქვს

რუსუდანის მსგავსად, საპენსიო სესხი **საქართველოში 417 ათას პენსიონერს აქვს აღებული, ანუ პენსიონერთა თითქმის ნახევარს (საქართველოში 890 ათასამდე პენსიონერია აღრიცხული).**

დღეს „ლიბერთი ბანკში“ საპენსიო სესხის საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 31%-ია, ანუ იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე მაგალითად, სხვა მოქალაქეებისთვის გაცემული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია, რომელიც სხვადასხვა ბანკში 15%-დან იწყება.

პენსიონერს შეუძლია, მაქსიმუმ 9 თვის პენსია, ანუ 1800 ლარი ერთად აიღოს. სესხის გადახდის მაქსიმალური ვადაა 54 თვე. პენსიონერი სესხის დასაფარად ბანკში არ უნდა ტოვებდეს პენსიის მესამედზე მეტს. „ლიბერთი ბანკის“ მონაცემებით, საპენსიო სესხის საშუალო მოცულობა 750 ლარია.

მიმდინარე წელს პენსიონერებს „ლიბერთი ბანკიდან“ სესხის სახით გატანილი აქვთ 330 მილიონი ლარი. წლევანდელი მონაცემებით, „ლიბერთი ბანკმა“ პენსიონერებისგან 90 მილიონი ლარი დაიბრუნა, ხოლო ჩამოწერა 27 მილიონი, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წელს, მსესხებელთა 7% სესხის დაფარვამდე გარდაიცვალა. „ლიბერთი ბანკის“ ინფორმაციით, პენსიონერებს „ლიბერთი ბანკის“ გარდა, სხვა ბანკებიდანაც აქვთ სესხად აღებული თანხები და ამ თანხების რაოდენობა დაახლოებით მილიარდ ას მილიონ ლარს შეადგენს.

რატომ ასე ძვირი სესხი?

დღეს საქართველოში ყველაზე ძვირ სესხს ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი — პენსიონერები იღებენ. დარგის ექსპერტების თქმით, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. მათ შორის, ერთი — **მაღალი რისკი სიკვდილიანობისა.** მეორე მიზეზი კი „ლიბერთი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატის გიორგი კალანდარიშვილის თქმით, ისაა, რომ ბანკი **საპენსიო მომსახურებისთვის სახელმწიფოსგან არანაირ დაფინანსებას არ იღებს:**

„პენსიების დარიგება დედაქალაქიდან დაწყებული, უშგულით დამთავრებული, ბანკის ხარჯია. იმისთვის, რომ ბანკს ამ ხარჯის კომპენსირება მოეხდინა, მიმართა ყველაზე მარტივ გზას — ეს ხარჯი გამოართვა პენსიონერებს. სწორედ ამიტომ, გასულ წლებში, საპენსიო სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 100%-მდეც კი ადიოდა. 2017 წელს, როდესაც „ლიბერთი ბანკში“ ახალი მმართველობა მოვიდა, საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთი 64%-ს შეადგენდა. დღეს, როდესაც ბანკი გაიზარდა და განვითარდა, შესაძლებელი გახდა, რომ საპროცენტო განაკვეთმა ნელ-ნელა დაწევა დაიწყო და დღეის მონაცემებით, დაახლოებით 31%-ია“.

როგორც გიორგი კალანდარიშვილი ეუბნება „რადიო თავისუფლებას“, ბანკი 2019 წლის ბოლოსთვის გეგმავს სესხებზე საპროცენტო განაკვეთის 28%-მდე დაწევას: „ამ ეტაპზე, ეს არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ბანკს საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთის შემცირებასთან დაკავშირებით შეუძლია“.

გააიაფებს თუ არა კონკურენცია ძვირ სესხს?

2018 წლის დასაწყისში ეროვნულმა ბანკმა სესხზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 50%-მდე შეამცირა. ამ პერიოდიდან დაიწყო „ლიბერთი ბანკმაც“ 100%-მდე არსებული საპროცენტო განაკვეთის შემცირება.

დარგის ექსპერტების თქმით, რომ არა „ლიბერთი ბანკის“ ექსკლუზიური უფლება საპენსიო მომსახურებაზე, საქართველოში საპენსიო სესხის საპროცენტო განაკვეთი ნაკლები იქნებოდა და არა 31 ან თუნდაც 28%.

ასე ფიქრობს რამაზ გერლიანი, „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის“ პრეზიდენტი. ის დარწმუნებულია, რომ თუკი მომდევნო საპენსიო ტენდერში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ბანკები და თუკი ერთ ბანკს აღარ ექნება საპენსიო მომსახურების ექსკლუზიური უფლება, კონკურენციის პირობებში, ავტომატურად დაიწევს საპენსიო სესხის საპროცენტო განაკვეთიც.

მის აზრს ეთანხმება გიორგი კაპანაძეც, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტი. ის „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან მონოპოლიზაციის გაუქმებაა:

„პენსიები უნდა ირიცხებოდეს სხვა ბანკებშიც და პენსიონერს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ ალტერნატივით ისარგებლოს. ბანკი, რომელსაც ექსკლუზივი აქვს, ყოველთვის შეეცდება, რომ მაღალი შემოსავალი და მაღალი მოგება მიიღოს და თუნდაც პენსიონერების ხარჯზე, იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებიც ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაში არიან და ისედაც მიზერულ პენსიას, დანაკლისით იღებენ“.

„საზოგადოება და ბანკების“ საბანკო პროდუქტების ექსპერტი ანი ალიბეგაშვილი „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ერთმნიშვნელოვნად დადებითი ფაქტია, ის, რომ გასულ წელს, ეროვნულმა ბანკმა ყველა ბანკისთვის თანაბარი სასესხო პირობები დააწესა სასესხო პროდუქტებისთვის, თუმცა, მისი თქმით, სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ პროდუქტზე ბანკისთვის ულტიმატუმის წაყენება და თამაშის წესების დადგენა, ეს უკვე კერძო სექტორის საქმიანობაში ჩარევაა:

„საპენსიო სესხი მაღალი რისკის შემცველი პროდუქტია. ამ ასაკობრივ კატეგორიაში მაღალია გარდაცვალების მაჩვენებელი და დაუბრუნებლობის რისკი. ყველა ეს ფაქტორი განსაზღვრავს ასეთ მაღალ პროცენტს. ეროვნული ბანკის მიერ ეფექტური პროცენტის 50%-მდე შემცირებამ შედარებით დაარეგულირა ბაზარზე არსებული პირობები, რადგან 2-3 წლის წინათ, ბევრად კაბალურ პირობებში უწევდათ პენსიონერებს სესხების აღება და პენსიის აღების დღეს ისინი, ფაქტობრივად, პენსიის გარეშე რჩებოდნენ. თუკი საუბარია იმაზე, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, პენსიონერებს კუთვნილი პენსიის მესამედის დატოვება უწევთ ბანკში, მაშინ, ისე გამოდის, რომ საბოლოოდ უნდა აიკრძალოს მათთვის სესხის გაცემა. ამ სიტუაციას ორი გადაწყვეტილება შეიძლება ჰქონდეს: ერთი — ის პირობები, რა პირობებითაც დღეს სესხები გაიცემა და მეორე — სესხების შეზღუდვა, რაც ნამდვილად არ მგონია, რომ დღევანდელ რეალობაში, პენსიონერებისთვის შეიძლება იყოს იმაზე მომგებიანი, ვიდრე მაღალპროცენტიანი სესხის გატანა“.

გაჩნდებიან თუ არა მომავალი წლიდან საპენსიო მომსახურების სისტემაში სხვა ბანკები?

„საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ გარდა, ამგვარი მომსახურების გაწევის საშუალება, სხვა ბანკებს არა აქვთ. ამ ორ ბანკსაც მოუწევს სერიოზული მომზადება...

2019 წელს იწურება სახელმწიფოს მხრიდან „ლიბერთი ბანკთან“ საპენსიო მომსახურებისთვის გაფორმებული ხელშეკრულების ვადა.

როდის და რა პირობებით გამოაცხადებს სახელმწიფო ახალ ტენდერს საპენსიო მომსახურებისთვის, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. როგორც „რადიო თავისუფლებას“ განუცხადეს სოციალური მომსახურების სააგენტოში, ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები:

„საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ადმინისტრირებადი სახელმწიფო გასაცემლების საბანკო მომსახურების საკითხის თაობაზე კონსულტაციები გაიაროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და მთავრობასთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები და როგორც კი მიღებული იქნება გადაწყვეტილება, გაცნობებთ“.

„ლიბერთი ბანკის“ გარდა კიდევ რომელი ბანკი მიიღებს ტენდერში მონაწილეობას, ამ ეტაპზე არც ამის შესახებაა ცნობილი.

როგორც „რადიო თავისუფლებას“ განუცხადეს „თიბისი ბანკში“, ბანკი მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას საპენსიო ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, რაც გამოქვეყნდება სატენდერო პირობები.

გეგმავს თუ არა „საქართველოს ბანკი“ საპენსიო ტენდერში მონაწილეობას, ამის შესახებ „რადიო თავისუფლებამ“ „საქართველოს ბანკისგან“ პასუხი ვერ მიიღო.

გიორგი კალანდარიშვილი დარწმუნებულია, რომ რეალურად, საპენსიო ტენდერში მონაწილეობას „ლიბერთი ბანკის“ გარდა, არცერთი სხვა ბანკი არ მიიღებს.

სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში გახდება ცნობილი, 10 წლისთავზე, კვლავ „ლიბერთი ბანკი“ დაიტოვებს ექსკლუზიურ უფლებას საპენსიო მომსახურებაზე თუ ამ სფეროში სხვა ბანკებიც ჩაერთვებიან. თუმცა, წინასწარი ვარაუდით, შეიძლება ითქვას, რომ საპენსიო სესხი, მისი სარისკო თვისებებიდან გამომდინარე, მაინც ყველაზე ძვირადღირებულ სესხად დარჩება საბანკო სისტემაში.

ნინო თარხნიშვილი

საღ იყო ჩასაფრებული სიკვდილი?!

რეანიმობილის გაუმართაობის გამო, 41 დღის განმავლობაში კომაში მყოფი 16 წლის ლუკა ფოფხაძე დღეს გარდაიცვალა. – მოზარდის ისტორია ყველამ კარგად იცის. ოჯახის ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემას რომ გამართულად ემუშავა, ბავშვი გადარჩებოდა. სწორედ პაციენტის კატასტროფის მანქანით ტრანსპორტირებისას წარმოშობილი სამედიცინო ხარვეზების შედეგად ვითარება რადიკალური გახდა – მოზარდს ჟანგბადი არ მიეწოდებოდა, რის გამოც მას ტვინი გაეთიშა.

ერთი შეხედვით მარტივი ტექნიკური პრობლემის გარდა, სხვა სირთულეებიც გამოვლინდა, რასაც საბოლოოდ ჯანდაცვის სისტემასთან მივყავართ.

კითხვაზე – ვის ეკისრება მოზარდის გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობა? – უწყებამ სამედიცინო დაწესებულებები და ექიმები დაასახელა, თუმცა, ბოლოს აღიარა, რომ პასუხისმგებლობა სამინისტროსაც ეკისრება:

„აქ გამოიკვეთა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობა. ისინი სამინისტროს მხრიდან ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდნენ. ასევე პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ ექიმებსაც, რომლებიც იმ პაციენტს ემსახურებოდნენ. უახლოეს მომავლში, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში, მათი საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოზე განიხილება და გადაწყდება, ვის რა სახის სასჯელი შეეფარდება. ეს შესაძლოა, იყოს გარკვეული დროით საექიმო საქმიანობის შეჩერება, ან სამუდამოდ საექიმო უფლების შეჩერება“, – განმარტავს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზაალ კაპანაძე.

„თავის დროზე ბავშვი ხერხემლისა და კიდურების ტკივილის სიმპტომების გამო გადაიყვანეს ამბოლაურში, რაიონული ჯანდაცვის ცენტრში. აქ ადგილზე ვერ მოხდა მოზარდის შესაბამისი მართვა, ამიტომ ცენტრს დაეკისრა პასუხისმგებლობა. შემდეგ ნათესავების დაჟინებული მოთხოვნა იყო მოზარდის თბილისში გადაყვანა და გამოიძახეს ლენტეხის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კატასტროფის ბრიგადა (მოგეხსენებათ, იმ პერიოდისთვის ამბროლაურს რეანომობილი არ ემსახურებოდა).

გადაადგილების პერიოდში კი ბავშვის მდგომარეობა დამძიმდა. თავად კატასტროფის ბრიგადაშიც გარკვეული სამედიცინო აპარატურის ტექნიკური ხარვეზი გამოიკვეთა. კერძოდ, ბავშვის ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთება დროულად ვერ მოხდა და ამიტომ მას მექანიკურად მართავდნენ. შემდეგ გადაიყვანეს დროებით ტყიბულის „ევექსის“ კლინიკაში, საიდანაც 4 საათში ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ინტერვენტული მედიცინის ცენტრში მოათავსეს. ყველა ამ დაწესებულებაში გარკვეული დარღვევები აღირიცხა – პაციენტის მართვასთან დაკავშირებით, ჩანაწერებთან მიმართებაში... ასევე გამოიკვეთა უკანონო საექიმო საქმიანობა“.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებში დარღვევები გამოიკვეთა და წარმოჩინდა პროფესიული დანაშაულის ფაქტებიც, ნიშნავს თუ არა ეს თავად ჯანდაცვის სისტემის გაუმართაობას? **ეკისრება თუ არა ასეთ დროს პასუხისმგებლობა უშუალოდ ჯანდაცვის სამინისტროს?** – ამ კითხვას ზაალ კაპანაძე შემდეგს პასუხობს:

„დიახ, ჯანდაცვის სამინისტრო პასუხისმგებლობას იღებს გაუმართაობის გამო. უწყების უშუალო და პირდაპირი მოვალეობაა, რომ გაუმართავ სალიცენზიო და სანებართვო პირობებთან დაკავშირებით განახორციელოს მონიტორინგი. გიდასტურებთ რომ სამინისტრო სისტემატურად ახორციელებს ასეთი ტიპის მონიტორინგს, თუმცა არის შემთხვევები, როცა ასეთი ფაქტები მაინც ხდება. ალბათ კანონმდებლობაშიც ხარვეზებია, რადგან არაა შესაბამისად მოქნილი. ვგულისხმობ იმას, რომ სამინისტრომ სრულად მოიცვას ამ ბრიგადების გადამოწმება. საქმე იმაშია, რომ ლიცენზიის გაცემისას ისინი პირობებს აკმაყოფილებენ, მაგრამ რადგან მუდმივი დაკვირვების ქვეშ არ არიან, სამედიცინო დაწესებულებები ხშირად ზოგავენ და არ აგზავნიან გამოძახებაზე. ერთი სიტყვით, 16 წლის ლუკა ფოფხაძის გარდაცვალებაზე პასუხისმგებობა ჯანდაცვის სამინისტროს, სამედიცინო დაწესებულებებს და ექიმებს ერთდროულად ეკისრებათ“.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 2 აგვისტოს, მთავრობის გადაწყვეტილებით ემერჯენსის (სასწრაფო დახმარება) მიმართულებით ამოქმედდა რეგულაციები და მისი იმპლემენტაციაც უკვე დაწყებულია.

ტრაგიკული ფაქტის შემდეგ, ოფიციალურად რეანომობილით მომსახურება ამბროლაურის რაიონში ხელმისაწვდომი გახდა.

სალომე ლემონჯავა

ეროვნული გვარდიის ოცეული აფრიკიდან დაბრუნდა

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ნაკრები ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მშვიდობისმყოფელებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი პირები და საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის თავდაცვის ატაშე, ვიცე-პოლკოვნიკი დანი პიტი დახვდნენ. მათ ჯარისკაცებს მისიის წარმატებით შესრულება მიულოცეს, მადლობა გადაუხადეს და მხარდაჭერა აღუთქვეს.

ეროვნული გვარდიის ნაკრებმა ოცეულმა ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA) მესამე როტაცია განახორციელა. კონტინგენტი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიში ბაზა „უკატექსზე“ იყო განთავსებული და ფრანგული სარდლობის დაქვემდებარებაში მისიას 6 თვის განმავლობაში ასრულებდა. ქართველი მშვიდობისმყოფელების მთავარ ამოცანას ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოტორიზებული პატრული, კონვოირება და გაცილება წარმოადგენდა. ეროვნული გვარდიის ნაკრები ოცეული ასევე ეროვნული გვარდიის მსუბუქმა ქვეითმა ოცეულმა ჩაანაცვლა კაპიტან გენადი მახარაძის მეთაურობით.

ბალტიის ზღვაში ნატოს წვრთნები დაიწყო

ბალტიის ზღვაში ნატოს წვრთნები მიმდინარეობს. საზღვაო მანევრებში 3 000 სამხედრო მოსამსახურე და 40 გემი მონაწილეობს. როგორც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განაცხადეს, წვრთნებში 18 ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. სწავლებები დანიის საზღვაო არხებთან ახლოს იმართება და 3-დან 19 სექტემბრამდე გაგრძელდება.

წვრთნების სცენარის მიხედვით, გამოგონილი აგრესორი ქვეყანა ბალტიის ზღვაში მდებარე კუნძულებზე პრეტენზიას აცხადებს და საზღვაო მიმოსვლას აფერხებს. მანევრების ფარგლებში, ალიანსის წევრები საზღვაო ბრძოლას, საჰაერო თავდაცვასა და განაღმვით სამუშაოებში გაივლიან სწავლებას.

„ბალტიის ზღვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ალიანსისთვის, ის ნატოს ექვს ქვეყანას ესაზღვრება. ეს წვრთნები 13 წელია, იმართება. სამწუხაროდ, რეგიონის უსაფრთხოება გაუარესდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და მოსკოვის მხრიდან სამხედრო წარმომადგენლობის ზრდის შემდეგ“, – განაცხადა ნატოს პრესმდივანმა ოანა ლუნგესკუმ.

ჯანდაცვის სამინისტრო – 16 წლის პაციენტის გარდაცვალების გამო რამდენიმე კლინიკისა და ექიმის მიმართ მკაცრი ღონისძიებები გატარდება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ პაციენტისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი შეისწავლა. ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს ჯანდაცვის სამინისტროდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, სამედიცინო დოკუმენტაცია შეისწავლა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში“, შპს „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის ლენტეხის ფილიალში“, სს „ევექსის კლინიკების ტყიბულის ფილიალში“, შპს „აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრსა“ და სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში“. მოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თითქმის ყველა სამედიცინო დაწესებულების პაციენტის „სამედიცინო ბარათსა“ და ექიმების ჩანაწერებში არასრულყოფილი და განსხვავებული მონაცემები იყო მითითებული.

ასევე გამოიკვეთა სალიცენზიო და სანებართვო პირობების დარღვევის და უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტები. ასევე, გამოვლინდა, რომ კერძო კატასტროფის ეკიპაჟის მანქანას ჰქონდა გარკვეული ხარვეზი. კერძოდ, სრულყოფილად ვერ ხდებოდა პაციენტის აპარატურული უზრუნველყოფა. როგორც სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მხრიდან მკაცრი ღონისძიებები გატარდება. კერძოდ, პროფესიული განვითარების საბჭოს უახლოეს სხდომაზე ექიმების პასუხიმგებლობის საკითხი განიხილება და გადაიხედება მათი პროფესიული საქმიანობა. ასევე, სამედიცინო დაწესებულებების მიმართ ადმინისტრაციული წესით კონკრეტული ქმედებები განხორციელდება, დაეკისრებათ საჯარიმო სანქციები. რაც შეეხება აღნიშნულ შემთხვევაში მონაწილე რეანომობილს, მას ფუნქციონირების უფლება უკვე შეუჩერდა.

3. ძნელი დროებანი, რთული გრძნობები, მაიაკოვსკი ქალებსა და სიყვარულზე

ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ?
და ვიღვრები ყვირილად!
მინდვრის ზინდიც მენათლება,
სიყვარული მენატრება...
ჰო თუ არა, ჰო თუ არა –
ვფურცლავ ყვითელ გვირილას.

* * *

ქენი რაც გინდა,
გინდა ოთხში ამომიღე,
გამხადე ხელით საყვანელი,
ოღონდაც მიზანში ამოიღე,
ვინაც წამგვარა
საყვარელი!

* * *

გარდა შენი სიყვარულისა,
მზე არ მინათებს,
შენ თუ არა,
სხვა არ მინატრებს,
შენ ისეთი ტკბილი ხარ
და ისე სადა ხარ,
სულ არ ვკითხულობ,
ვისთანა ხარ
ანდა სადა ხარ.

* * *

დედა!
შენი შვილი შეიქნა ცუდად!
იქნებ მიზეზი არის თავადვე.
დედა! უთხარი ჩემს დებს
ოლიასა და ლუდას, –
რა გზას დავადგე.

* * *

გახსოვს?
ამბობდი:
„ჯეკ ლონდონი,
ფული,
შეტრფობა,
ტანჯვა-წვალება,
მე კი ვხედავდი:
ჯოკონდა იყავ,
რომელიც უნდა მოეპარათ!
და მოგიპარეს.

* * *

თავაწეული შემოხვედი
და ამაყად თქვი:
„სად გაგონილა
ქალის უქმობა,
იგივ უქმრობა,
დამაგვიანდა, აღარ ვყოვნდები,
მორჩა, გათავდა,
უკვე ვთხოვდები.

* * *

სულერთია,
ერთხელ წაგიყვან აუცილებლად,
ან მარტონი დავადგებით გზას
ან პარიზთან ერთად
წაგიტან.

შემთხვევას პილპილი სუსხავს,
გუშინ მთაში ვიყავით, დღეს ბარში ვართ.
სიყვარულის ნავი შეეხეთქა ყოფას, –
ამჯერად ბარი ბარში ვართ,
აღარად გვიღირს იმის ნუსხა,–
რამდენჯერ გავუმწარეთ ერთმანეთს ტრფობა.

* * *

სიყვარულს ვერ წაშლის
ვერც დავა,
ვერ სივრცე,
რაც ვიყავ,
ვიყავ,
ვერცარა მრიყავს,
გზა იქით მიმყავს,
სად სიყვარულით
სავსე გულია,
სად სიხარულია,
მეც იმას ვერტფი,
ერთგულად მიყვარს!

* * *

ამაყად მოხვედი,
საქმიანად,
შენი სათქმელი
ბევრს უთხარი,
მეტადრე ბიჭებს,
გასაგონებლად.
მერე გული ამომიღე
და გოგოებს გადაუგდე
გასაგორებლად.

* * *

სად ტუნდრა თვალებს მწვანედ გაახელს,
სად ზენა ქარი მოიტანს წუხილს,
ჯაჭვზე ამოვკვეთ ლილიას სახელს
და ჯაჭვს განვკურნავ კატორღის მწუხრში.

* * *

რა ვქნა, მივათრევ ცხოვრების წიაღ
უზარმაზარ ფაქიზ ტრფობათა მილიონებს
და პატარა ჭუჭყიან სიყვარულთა
მილიონთ მილიონებს.
ვაკვირვებ მაღლა ვარსკვლავთ,
დაბლა კვირიონებს.

„მე ვარ პოეტი და ამით ვარ საგულისხმო“

ასე ამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

* * *

სიყვარული აყვავდება,
აყვავდება და მოიბუზება,
შეაწუხებენ ბუზები.

* * *

მატარებელს არ გადავურბენ
და არც შხამს დავლევ,
მომბეზრებია სიცოცხლე განა!
ვერც თოფი მომკლავს,
მე მომკლავს მხოლოდ
მაგ მზერის დანა.

* * *

ჩემი სუნთქვის ხმელი ფოთლები
ამედევნენ
ვით ძმაბიჭები...
ნუ შეშფოთდები
დიდი სინაზით,
შენებურად გამიშალე,
სინაზითა და სიყვარულით
გამიშალე
ვით საბან-გობანი
ეგ მიმავალი
შენი ნაბიჯები.

* * *

ღმერთსა გმობს, აძაგებს,
ღმერთს იპყრობს გაკვირვება –
ეს თავს ვინ მიყადრებს?
ვინ ყვირის საკირედან?
ღმერთს მაინც ეცოდება,
ცეცხლიდან ამოჰყავს
და უბრძანებს:
გიყვარდეს!

* * *

გული გამიძარცვეს,
დამტოვეს ცარიელი,
ვიცი, ვინ არიან
ან ვინ იქნებიან,
რაც დამრჩა,
თქვენთვის მემეტება,
სხვა ვერაფერი მომიფიქრებია.

* * *

სიყვარული უძილობისგან
დაფლეთილი ზეწარია,
ძველთაგან ეჭვიანობის ხრიკია,
ის პიროვნება კოპერნიკია...
ცხვირში ამოსდის ძმარი –
ეჭვმა შეიპყრო და დაღრღნა
მარია ივანოვნას ქმარი.

4. მაიაკოვსკი ქილიკობს

დაიმსხვრა ძველი
გეჯი და გობი...
სიმღერით ვხვდებით
ყველანი მიტინგს.
შორს დარჩა სუნი
ხრკისა და ობის,
ის კაცი ახლა
ცად მზისკენ მიდის.

* * *

ქალს გცხია ბევრი ფერ-უმარილი
და ნიჟარიდან იყურები როგორც ხამანწკა.

* * *

პარიკმახერი თავისთვის იწვა
და კლიენტისკენ ეჭირა თვალი,
ქალმა ყურებში წაივლო ხელი
და პარიკმახერს დავარცხნა სთხოვა,
პარიკმახერმა დატუქსა წიწკვი, –
სად გაგონილა ყურების ვარცხნა!
და კლიენტივით ისიც ვერ დაცხრა,
ეუცნაურა კლიენტი ქალი,
სახე გაუხდა ვით მწიფე მსხალი.

* * *

სისხლისმწოველი ჰანიბალივით
ბინდი ღეჭავდა უგემურ კაცებს.

* * *

აქ ვულკანი აღარ ხრჩოლავს
შავად, ელეთ-მელეთად,
და მსაჯულმა დააწერა:
„ველი არამწეველთა!“
ახლა უკვე სუნთქვა ისმის
ცაანკარა ტყე-ველთა...

* * *

ცით იცქირება
სულაც არა ფარსაგი რამ
დიდებულად, ვით ლევ ტოლსტოი.

* * *

ამას სულ არ ანაღვლებს სხვათა ქარი,
ძველ წამალს არასოდეს ანახლებს,
გინდა ჯორი გაზრდილხარ, გინდა ვირი,
იმას მხლოდ
კვადრატული ფესვის ამოღება ანაღვლებს.

* * *

ბრმა ნაწლავს გინდა სათვალე დაადგი,
ის მაინც ვერცრას ვერ მოიხილავს.

* * *

ბიჭი ნაგავი არ არის,
გარეთ ურიკით ვერ გაიტან,
დედა აქვითინდა
და ბიჭს
კრიტიკოსი
დაარქვა.

* * *

კისერი ბუღას მიგიგავს,
ნაზუქს აყოლებ ქადას,
შენს ხორცზე ყველგან რიგი დგას,
ცოტა შეზღუდე მადა!

* * *

გულამოჭრილ კაბაზე
სამკაული გიბრწყინავს,
და თავადაც მზიანობ,
მაგრამ ისე მოჩანხარ,
რომ ხანდახან მაბრაზებ,
ამორძალთა ზიარო,
მაგის ჩაცმას, გირჩევდი –
სულ ტიტველმა იარო!

(გაგრძელება იქნება)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №170-173

როგორ ვიფრინოთ იაფად?

ბიუჯეტური ავიაკომპანიების გამოყენების საიდუმლოებები

ბიუჯეტური ავიაკომპანია Ryanair-ი თბილისიდან და ქუთაისიდან ავიარეისებს ნოემბრის პირველი რიცხვებიდან იწყებს. იაფი ავიაბილეთებით სახელგანთქმული ავიაკომპანია რიგითი ქართველისთვის ევროპაში მოგზაურობის კარგი საშუალებაა, მაგრამ იმისთვის, რომ ბიუჯეტური ავიაკომპანიით სარგებლობა ძვირ სიამოვნებად არ იქცეს, საჭიროა რამდენიმე თავისებურებისა და რეკომენდაციის გათვალისწინება.

წლების წინ ქართველი საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილმა ძალიან სკეპტიკურად მიიღო ბიუჯეტური ავიაკომპანია Wizz Air-ის გამოჩენა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში.

მგზავრებისთვის უცხო აღმოჩნდა როგორც ბილეთების ონლაინ შეძენის პროცესი, ასევე ონლაინ რეგისტრაცია და ბარგის პოლიტიკის დეტალებში გარკვევა, თუმცა, დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა და ახლა Wizz Air-ი საქართველოში მთავარი ავიაგადამზიდველია.

Ryanair-ის მომსახურებაც ონლაინ პლატფორმას ეფუძნება და იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ დამატებითი ხარჯები, საჭიროა, მისი ბილეთების შეძენას მიუდგეთ არა ისე, როგორც სხვა ავიაკომპანიების შემთხვევაში, არამედ უნდა გაითვალისწინოთ ბილეთში შემავალი სხვადასხვა კომპონენტი, მაგალითად, კვება, სხვადასხვა ზომის ბარგი, ურიგოდ რეგისტრაცია და ასე შემდეგ.

ბილეთების ძიება

ძუთაისს ამ წლების მანძილზე უამრავი უცხოელი ესტუმრა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ იქ ევროპიდან ჩასვლა ბიუჯეტური ავიაკომპანიის მეშვეობით დასავლეთ ევროპის რომელიმე ცნობილი ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის დღიური ბილეთის ფასი ჯდება. ასეთი მოგზაურები მხოლოდ იაფი ბილეთის აღმოჩენის შემდეგ იწყებენ კონკრეტული ქალაქისა და მისი ღირსშესანიშნაობების შესწავლას.

Ryanair-ის იაფი ბილეთების ძიებისას დაივიწყეთ ტრადიციული მიდგომა, არ დაელოდოთ დაბალ ფასებს თქვენთვის ხელსაყრელი კონკრეტული თარიღის მიხედვით, არამედ მოგზაურობა დაგეგმეთ იმის მიხედვით, თუ როდის არის ყველაზე დაბალფასიანი ბილეთების შეძენის შესაძლებლობა. ხელსაყრელი ფასები შეგიძლიათ, იხილოთ ავიკომპანიის შესაბამის ვებგვერდზე.

გაითვალისწინეთ, რომ ბილეთების ფასები ხშირად იცვლება. მაგალითად, 21 აგვისტოს, მაშინ როდესაც საქართველოში Ryanair-ის შემოსვლა გამოცხადდა, თბილისი-მილანის ბილეთის ფასი 20 ევრო იყო, დღის ბოლოს ღირებულება 35 ევრომდე გაიზარდა, რადგან ბევრმა მსურველმა დაუფიქრებლად შეიძინა უჩვეულოდ იაფი ავიაბილეთები. ასევე იაფი, ხელსაყრელი ვარიანტების მოსაძებნად ეწვიეთ სპეციალიზებულ ფეისბუქჯგუფებს, სადაც ხშირად ქვეყნდება ინფორმაცია იაფი ავიაბილეთების შესახებ.

ბილეთის შეძენა

მას შემდეგ, რაც თქვენთვის მისაღებ ვარიანტს შეარჩევთ, უნდა გაითვალისწინოთ რამდენიმე დეტალი, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ბილეთი შეძენის პროცესში არ გაძვირდეს. მაგალითად, ავირჩიეთ წლის ბოლომდე არსებული თბილისი-მილანის ყველაზე იაფი ვარიანტი. 11 დეკემბერს ბილეთის ფასი ერთი მიმართულებით 26.55 ევროს შეადგენს. უკან დასაბრუნებლად ავირჩიოთ 15 დეკემბერი — 43.53 ევრო და, შესაბამისად, ორმხრივი ავიაბილეთის ღირებულება გამოვიდა 70.08 ევრო, ანუ, შესაბამისი კურსით, 228 ლარი.

მე პირადად მაქსიმალური სიიაფის მისაღწევად ჯერ შევიძენ ხოლმე ერთი მიმართულების იმ ბილეთს, რომლის ფასიც მისაღებია, შემდეგ კი ველოდები მეორე მიმართულების გაიაფებას. თუ თადარიგს 3 თვით ადრე მაინც დაიჭერთ, სრულიად შესაძლებელია ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა. რაც უფრო ახლოვდება თქვენი გაფრენის თარიღები, ბილეთები მით უფრო ძვირდება, თუმცა არის ხოლმე გამონაკლისებიც, სხვადახვა თარიღებთან დაკავშირებული ფასდაკლებები და ასე შემდეგ.

ბილეთის შეძენისას ნუ იჩქარებთ ფასიანი „ჩეკინის“ — რეგისტრაციის — გაკეთებას. სისტემა უფასო რეგისტრაციის საშუალებას გაფრენის თარიღამდე ორი დღის მანძილზე მოგცემთ. უფასო რეგისტრაცია გაფრენამდე 2 საათით ადრე წყდება და, თუ ვერ მოასწარით, ადგილზე დამატებითი თანხის გადახდა მოგიწევთ. რეგისტრაცია საჭიროა იმისთვის, რომ სისტემამ ჩასხდომის ბარათი მოგანიჭოთ, რომელიც წარმოადგენს ავიაბილეთის საბოლოო სახეს და მასზე ასახულია თქვენი პირადი მონაცემები, თვითმფრინავში სავარძლის ნომერი და სხვა დეტალები. შეგიძლიათ, ჩასხდომის ბარათი ამობეჭდოთ ან ელექტრონული ფორმით — მობილურით — წარადგინოთ აეროპორტში.

RYANAIR და WIZZ AIR — ჯანსაღი კონკურენცია?

რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოს ავიაბაზარზე მეორე ბიუჯეტური ავიაკომპანიის გამოჩენას, რომელიც მასშტაბებით პირველს გაცილებით აღემატება? Ryanair-ის მიერ თბილისიდან და ქუთაისიდან ორ-ორი მიმართულებით ფრენების დაწყების ანონსირებიდან ორი დღის შემდეგ Wizz Air-მა არსებულ მიმართულებებს კიდევ ორი ახალი დაუმატა — ზუსტად ის ქალაქები, სადაც ქუთაისიდან Ryanair-ი იფრენს. ასევე გააორმაგა ფრენა მილანის მიმართულებით, სადაც Ryanair-ი რეისებს თბილისიდან შეასრულებს.

ეს ორი ავიაკომპანია ევროპის ბაზარზეც მსგავსი სქემით მოქმედებს და მათი ჯანსაღი კონკურენციით მოგებული მხოლოდ მგზავრები რჩებიან. თუ ამ კომპანიების მომსახურების პირობები ერთმანეთისგან თითქმის არაფრით განსხვავდება, მათ შორის სხვაობა მაინც არის. მაგალითად, თუ Wizz Air ქუთაისიდან მილანში მალპენსას აეროპორტში დაფრინავს, Ryanair-ი რეისებს შეასრულებს მილანიდან თითქმის იმავე მანძილით დაშორებულ ბერგამოს აეროპორტში. ანუ, მიუხედავად ერთნაირი მიმართულებისა, ორივე ავიაკომპანია, თუ ამის საშუალება არის, ერიდება ზუსტ დუბლირებას, რაც მომხმარებელს მეტი არჩევანის საშუალებას აძლევს.

ტრანზიტული მგზავრობა

კიდევ ერთი თავისებურება, რაც ბიუჯეტურ ავიაკომპანიებს განასხვავებს ტრადიციულისაგან, არის ის, რომ მათ არ აქვთ ტრანზიტული ავიაბილეთები — ისეთი რეისები, რომელიც ერთ და მეტ გადაჯდომას ითვალისწინებს. მაგალითად, Ryanair-ი მილანი-ბერგამოდან ბევრი მიმართულებით დაფრინავს — მათ შორის არის ბერლინი.

ბილეთის ფასი 18 ევროდან იწყება. თუმცა, თუ გაქვთ სურვილი 11 დეკემბერს თბილისიდან მილანის გავლით ბერლინში ჩახვიდეთ, ამას Ryanair-ის ერთიანი ბილეთით ვერ მოახერხებთ. ამ მარშრუტით მგზავრობისთვის ცალ-ცალკე ბილეთები უნდა შეიძინოთ და თუ, მაგალითად, თბილისი-მილანის ხომალდმა დააგვიანა, მილანი-ბერლინის ფრენა გაუქმდება. ანუ ავიაკომპანია რეისების კავშირზე პასუხისმგებლობას არ იღებს. თუმცა გამოსავალი აქაც არის სხვადასხვა ტიპის ვებსაიტების სახით, რომლებიც ტრანზიტულ ბილეთებს გასცემენ და გარკვეულ გარანტიასაც იძლევიან.

ასეთი მარშრუტების შედგენა დანიშნულების ადგილზე ჩასვლის ყველაზე იაფი გზაა და ყველაზე დაბალანაზღაურებადი მოქალქისთვისაც კი ხელმისაწვდომს ხდის ევროპაში მოგზაურობას.

კახა მჭედლიძე

ჰონგ-კონგი ჩინეთს ეკუთვნის!

ჰონგ-კონგი ჩინეთის ტერიტორიაა და ეს სტატუსი მსჯელობის საგანი არ არის, — ეს განცხადება ჰონგ-კონგში ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლობის ოფისში გააკეთეს.

ჩინეთის წარმომადგენლობის პრესსპიკერის თქმით, პეკინი დარწმუნებულია, რომ ჰონგ-კონგის მთავრობას აქვს ნება და შესაძლებლობა, რაც შეიძლება მალე შეაჩეროს ძალადობა. მისივე თქმით, ჩინეთის მთავრობა „ხელებდაკრეფილი არ იჯდება, თუ ჰონგ-კონგში არსებული ვითარება ჩინეთის ეროვნულ უსაფრთხოებას დაემუქრება“.

შეგახსენებთ, რომ ჰონგ-კონგში ივნისიდან მოყოლებული საპროტესტო აქციები არ წყდება. დემონსტრანტები მთავრობის გადადგომას და დემოკრატიული რეფორმების გატარებას ითხოვენ. ჰონგ-კონგი დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიაა, რომელიც ამჟამად ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონია.

ამერიკელებს ავღანეთიდან სამხედროები გაჰყავთ

აშშ-თალიბანის შეთანხმება ავღანეთიდან 5 400 ამერიკელი სამხედროს გაყვანას ითვალისწინებს. ავღანეთის საკითხებში აშშ-ის სპეციალური წარმომადგენლის ზალმაი ხალილზადის განცხადებით, ხუთი სამხედრო ბაზიდან აშშ-ის არმიის ჯარისკაცების გაყვანა 20 კვირის განმავლობაში უნდა მოხდეს. ავღანურ გამოცემა „ტოლო ნიუსთან“ ინტერვიუში სამშვიდობო შეთანხმების დეტალებზე საუბრისას ხალილზადმა თქვა, რომ სამხედროების გაყვანის სანაცვლოდ, თალიბანის ძალისხმევით ავღანეთი აღარ იქნება გამოყენებული, როგორც აშშ-ზე და მის მოკავშირეებზე თავდასხმების მოსამზადებელ ბაზად.

ამჟამად, აშშ-ს ავღანეთში 14 000 სამხედრო მოსამსახურე ჰყავს განთავსებული. „ბიბისის“ ინფორმაციით, დარჩენილი ძალების გაყვანა დამოკიდებული იქნება გარკვეულ პირობებზე, მათ შორის: ავღანეთის მთავრობას და თალიბანს შორის მოლაპარაკების დაწყებაზე და ცეცხლის შეწყვეტაზე. აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა თალიბანთან ცხრარაუნდიანი მოლაპარაკებების შედეგები ავღანეთის პრეზიდენტს აშრაფ ღანის გააცნო.

უკრაინის რადამ დეპუტატების იმუნიტეტი გააუქმა

საკონსტიტუციო ცვლილებები 2020 წლიდან შევა ძალაში. კანონპროექტს, რომელიც რადაში ჯერ კიდევ 2017 წელს პეტრო პოროშენკომ წარადგინა, 373 დეპუტატმა დაუჭირა მხარი. ერთადეთი პარტია, რომელსაც კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, პრორუსული „ოპოზიციური პლატფორმა სიცოცხლისთვის“ იყო.

ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, 2020 წლის პირველი იანვრიდან უკრაინელი დეპუტატების სისხლის სამართლებრივი დევნა რადას თანხმობის გარეშეც იქნება შესაძლებელი.

ეს გასაოცარი ხორვატები

დარწმუნებული ვართ, რომ ბევრმა ჩვენგანმა იუგოსლავიის ერთ-ერთი ყოფილი რესპუბლიკის — ხორვატეთის ხალხის შესახებ უფრო მეტი მას შემდეგ გაიგო, რაც მისმა საფეხბურთო ნაკრებმა ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიო გრანდების ელიტაში — სავსებით სამართლიანადაც! არადა, ყველა, ვინც ამ თვალწარმტაც ქვეყანაში ერთხელ მაინც ყოფილა, მოხიბლული დარჩენილა მისი არაჩვეულებრივი ბუნებით, ლამაზი ქალაქებითა და სიდარბაისლით გამორჩეული ხალხით.

ასევე, იქნებ, მრავალთათვის არ იყოს ცნობილი ხორვატების განსაკუთრებული თვისებები და წესები. კერძოდ:

— ისინი ქუჩის შადრევნებიდან წყლის მაგივრად ღვინოს სვამენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ — 1 აპრილის დღესასწაულზე ხდება, თანაც მხოლოდ ქალაქ ლუდბრეგში;

— საუზმობენ ყავითა და წყლით, საღილობენ ყველანი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ დროს — 12 საათზე;

— ტრადიციულ ტორტს — „ბრელას“ ჭარხლის ფოთლებიდან ამზადებენ, რომელსაც „ბლიტვას“ ეძახიან. ბლიტვას ასევე მიირთმევენ როგორც თევზეულის გარნირს;

— არ იციან სადღეგრძელოები. ნებისმიერ სუფრასთან — ქორწილი იქნება ეს, დაბადების დღე თუ სხვა დღესასწაული, ჭიქებს უსიტყვოდ უჭახუნებენ და ისე სვამენ;

— არჩევნებში 16 წლიდან მონაწილეობენ, ოღონდ იმ პირობით, თუ კაცი მუშაობს. უმუშევრებს კი ხმის მიცემის უფლება მხოლოდ 18 წლიდან აქვთ;

— სტუდენტს ერთი და იგივე გამოცდის ჩაბარების, ან ატესტაციის გავლის უფლება წელიწადში რვაჯერ აქვს;

— დიდ პატივს სცემენ ფიაკას — აუჩქარებელ და უდარდელ ცხოვრებას. აჩქარება მიღებული არ არის. ყოველდღიურად ყველანი აუცილებლად მიდიან ყავახანაში ფინჯანი ყავისთვის. ესაა დინჯი ურთიერთობის ჟამი;

— ზამთრის დღესასწაულებზე სახლებს ხორბლით რთავენ, საახალწლოდ კი ერთმანეთს ვაშლებს ჩუქნიან;

— ქორწილში ფრინველისგან მომზადებული კერძის ეშინიათ, რადგან მიაჩნიათ, რომ თავიანთი ფრთებით მათ ბედნიერების წაღება შეუძლიათ. ამიტომაც, მთავარი კერძი ამ დროს თევზია — კეთილდღეობის სიმბოლო;

— აჯარიმებენ გადასასვლელზე ზედმეტად სწრაფად მოსიარულეებს. ასევე სჯიან იმ მყიდველს, ვინც სალაროში ჩეკს არ იღებს — რევიზორები ფიქრობენ, რომ ასეთი მომხმარებელი გამყიდველს ხელს უწყობს გადასახადებისგან თავის არიდებაში.

კარტოფილის რეაბილიტაცია

დიეტოლოგები კარტოფილს „ცუდი თვალით“ უცქერენ, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ ის გასუქებასა და მასთან დაკავშირებულ დაავადებებს უწყობს ხელს. არადა, მათ ავიწყდებათ, რომ ვიტამინი C სწორედ კარტოფილის წყალობით იქნა აღმოჩენილი.

1840-იან წლებში მისი მოუსავლიანობა იყო და ევროპაში ხალხი ცინგისგან იხოცებოდა, მაგრამ როცა კი რაციონში კარტოფილი გაჩნდა, ეპიდემია შეწყდა.

კარტოფილში ასევე აღმოაჩინეს ანტიოქსიდანტები — კაროტინოიდები, ანტოციანინები, ქლოროგენური და ყავის მჟავები. ეს ნივთიერებები ორგანიზმს კიბოსგან, ათეროსკლეროზისგან, ასევე დაბერებისგან იცავენ. ყველაზე დიდი ოდენობით მათ **წითელი** და **ლურჯი** კარტოფილის კანი შეიცავს, თანაც ასეთი შეფერილობის მიზეზიც სწორედ ესაა. მათ დიდი ოდენობით იისფერი ბოლქვიც შეიცავს, მაგრამ ამ ჯიშის კარტოფილი ჩვენში, ფაქტობრივად, მოშენებული არ არის.

გადამდები „სიფუნთუშე“

შესაძლოა, სიმსუქნე გადამდები იყოს.

დაკვირვებების შედეგად გაირკვა, რომ ადამიანები ქვეცნობიერად ბაძავენ გარშემო მყოფთა შესახედაობასა და მოქცევას, ამიტომაც როცა მსუქანი ხალხის საზოგადოებაში დიდი ხნის მანძილზე ყოფნა უწევთ, თავადაც ზედმეტი კილოგრამების აკრეფისკენ მიიღტვიან, ცხადია, ქვეცნობიერად.

გამოკლვევებით დადგინდა, რომ როცა კაცი ტანსრულ ადამიანთა კოლექტივში ხვდება, ზედმეტი წონის აკრეფის ალბათობა 20-25 პროცენტით იზრდება.

სიჩუმის ფასი

ხმაურით გარემოს დაბინძურება გულის დაავადებათა წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზია.

ბუნებრივი ხმამაღალი ბგერები საფრთხის ნიშნებად აღიქმება. ამიტომაც, გამუდმებული ხმაურის პირობებში მცხოვრები ადამიანი ქვეცნობიერად განგაშის გრძნობას განიცდის. სწორედ ამის გამოა, რომ ასეთ ადამიანს ძილი უფრთხება, ადვილად ღიზიანდება, ხშირად იპყრობს დეპრესია. გულის დაავადებებიც სწორედ ამ აშლილობების შედეგია.

კლიმატის „შეკეთება“

კემბრიჯის საქვეყნოდ ცნობილ უნივერსიტეტში „კლიმატის შემკეთებელ ცენტრს“ ქმნიან. ახალი სამეცნიერო ჯგუფის მიზანია საყოველთაო დათბობასთან ბრძოლის ქმედითი მეთოდების შესწავლა, რომელიც მხოლოდ ატმოსფეროში სათბურის გაზების გაფრქვევასთან ბრძოლით არ შემოიფარგლება.

ამჟამად დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა ერთი გრადუსით უფრო მაღალია, ვიდრე საუკუნენახევრის წინათ იყო. საქმე იქით მიდის, რომ 21-ე საუკუნის მიწურულისთვის ტემპერატურა 3,0-3,5 გრადუსი ცელსიუსით მოიმატებს.

კონკრეტულად კი ამ „შეკეთების“ რამდენიმე ვარიანტს განიხილავენ. ერთ-ერთია **ღრუბლების დამარილება**. იდეის ავტორთა აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ უახლოეს ხანში მსოფლიო ოკეანეში მაღალანძიანი უპილოტო ხომალდები გამოჩნდნენ. ისინი ზღვის წყალს ამოხაპავენ, ზევით ატუმბავენ და მაღლა ცაში მიკროსკოპულ წვეთებს გააფრქვევენ, რომლებიც ღრუბლებად გადაიქცევა; მეორე პროექტია **ხელოვნური ვულკანური ზამთრის შექმნა**. საქმე ისაა, რომ მძლავრი ვულკანური ამოფრქვევების შემდეგ, დედამიწის ატმოსფერო გრილდება — ფერფლი მზის სხივებისთვის ერთგვარი ფარდის როლს ასრულებს და ისინი ზედაპირამდე ველარ აღწევენ; მესამე პროექტის არსი კი **კოსმოსური სარკეების** შექმნაში მდგომარეობს, რომლებიც მზის სხივებს აირეკლავენ და ამით ატმოსფეროს გააგრილებენ, ოღონდ, ობიექტს კოსმოსში განათავსებენ. ტექნიკურად საკითხის გადაჭრის რამდენიმე გზა არსებობს — ესაა ან მზის სხივების ამრეკლავი სარკეების, ან გამოსხივების გარკვეული ნაწილის შემაკავებელი დედამიწის ორბიტაზე ლინზის (მზის სათვალის მსგავსის) განთავსება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2050 წლისთვის დედამიწის ტემპერატურა საშუალოდ 3, საუკუნის დამლევისთვის კი სულაც 5 გრადუსით მოიმატებს. ამასთან, **კაცობრიობის გადარჩენისთვის კრიტიკულად ამ პარამეტრის ცელსიუსის 4-გრადუსიანი ნიშნულია მიჩნეული.** შედეგად დაიღუპება მთლიანი ეკოსისტემები, კერძოდ, არქტიკა და ამაზონია, მსოფლიო ოკეანის დონე კი ნახევარი მეტრით აიწევს და არა მარტო უამრავ ზღვისპირა ქალაქს, არამედ მთელ ქვეყნებსაც (მაგალითად, ნიდერლანდს) დატბორავს, შენელდება გოლფსტრიმის საოკეანო დინება, რომელსაც კიდევ „ევროპის ღუმელს“ უწოდებენ, შეიცვლება ატმოსფეროს ცირკულაცია, დაშრება ყველა მცირე და საშუალო მდინარე, დედამიწის ზედაპირის 30 პროცენტი კი უდაბნოდ გადაიქცევა, რაც ორ მილიარდ ადამიანს(!) ახლო აღმოსავლეთიდან, აფრიკიდან, სამხრეთ ამერიკიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან გადასახლებას აიძულებს, რასაც შეიარაღებული კონფლიქტები და ომები მოჰყვება ნოყიერი მიწებისა და სასმელი წყლის რესურსების დასაუფლებლად.

თუმცა ისიცაა, რომ მკვლევარები იმას კი არ ამტკიცებენ, რომ ეს აპოკალიფსური სცენარი აუცილებლად განხორციელდება — ისინი გვაფრთხილებენ, რომ თუკი გადამჭრელი ზომები არ მივიღეთ, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია, რომ მოხდეს.

პრეზიდენტების პენსიები

ჩვენში პენსიების სიმწირეზე და საცხოვრებელ მინიმუმთან სრულ შეუსაბამობაზე ფუჭი ლაპარაკი ნამდვილად არ ღირს, ამიტომ (იქნებ გასახალისებლადაც!), ვნახოთ, თუ როგორია სხვა ქვეყნებში „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ საპენსიო შემოსავალი.

დავიწყოთ **ამერიკის შეერთებული შტატებით,** რომლის ყოფილი პრეზიდენტების ყოველთვიური პენსია 17 ათასი დოლარია. ამდენს იღებს ბარაკ ობამა. მეორე ექს-პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ-უმცროსის ოფიციალური პენსია 16 ათასი დოლარია, მაგრამ სოციალურ შემწეობებთან და დანამატებთან (!) ერთად, ხელზე იგი 30,5 ათას დოლარს იღებს.

გერმანიის ყოფილი ლიდერები ყოველწლიურად 233 ათას ევროს ოდენობის პენსიას იღებენ, იტალიის — 100 ათას ევროს, ფინეთის — 130 ათას ევროს. **დიდი ბრიტანეთის** ყოფილი პრემიერი ტონი ბლერი წელიწადში 633 ათას დოლარს იღებს, რომლის უმეტეს ნაწილს დაცვაზე ხარჯავს. **ლატვიის** ექსპრეზიდენტის პენსია თვეში 1800 ევროა. თავის პენსიის სიმწირეზე წუწუნებს **პოლონეთის** ყოფილი პრეზიდენტი კვასნევსკი, რომელიც თვეში 1400 დოლარს იღებს. არადა, **საქართველოს** ყოფილი მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თვეში მხოლოდ 410 დოლარს იღებდა, **ეგვიპტეს** ექსპრეზიდენტი ხოსნი მუბარაქი კი სულაც 339 დოლარს.

გვერდი მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ჰეიგის რჩეულნი

„ბორჯღალოსანთა“ თავკაცმა მილტონ ჰეიგმა ის 31 რჩეული დაასახელა, რომლებიც იაპონიაში 2019 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ღირსებას დაიცავენ.

ჩვენებურთათვის მიჯრით მეხუთე ფორუმი მეოთხე იქნება ორი ჩვენი მორაგბისთვის: გუნდის ყველა დროის საუკეთესო მელელოვისთვის და გამორჩეულ კაპიტან მამუკა გორგოძისთვის, რომელსაც სანაკრებო კარიერა დასრულებული ჰქონდა, თუმცა, რადგან გუნდს დასჭირდა, იგი დაბრუნდა. მეოთხე მსოფლიო თასზე იასპარეზებს ასევე „ცენტურიონი“ დავით კაჭარავა, რომელმაც შოტლანდიასთან თბილისში გამართულ ტესტში 115-ე კეპი მოიხვეჭა.

„იაპონია – 2019“ მე-5 მსოფლიო თასი იქნებოდა პირველ ქართველ „ცენტურიონ“ მერაბ კვირიკაშვილისთვის, რომელმაც შეკრებაზე საზარდული დაიზიანა და ამის გამო გამოაკლდა გუნდს.

რაგბის უდიდეს ზეიმზე მესამედ ითამაშებენ ჯაბა ბრეგვაძე, ლაშა მალაღურაძე, გიორგი ნემსაძე, სანდრო თოდუა და შალვა სუთიაშვილი. იგივეს შანსი ჰქონდა ლაშა ხმალაძეს, მაგრამ მას 2015 წლის მსოფლიო თასი ტრავმის გამო გაუცდა.

გორგოძე ნაკრებს ჯერ კიდევ 3 წლის წინათ დაემშვიდობა, მაგრამ ბოლოდროინდელი ტრავმების ეპიდემიის ფონზე გუნდში არსებული სიტუაცია გაითვალისწინა და გულშემატკივართა გასახარად „ბორჯღალოსანთა“ თხოვნას – ნაკრებში დაბრუნებულიყო, დათანხმდა. მისი საკითხი 99%-ით გადაწყვეტილია და, კლუბის ინტერესების გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში რეალობად უნდა იქცეს. ის ერთადერთი მორაგბეა, რომელსაც წელს გუნდთან ერთად მზადების პროცესი არ გაუვლია და ბიჭებს 8 სექტემბრის შემდეგ ფორსმაჟორში შეუერთდება (თუ „ტულონის“ ინტერესები არ გადაიკვეთება).

31 მორაგბიდან 13 მსოფლიო თასზე საბრძოლო ნათლობას მიიღებს. მათგან ყველაზე ახალგაზრდა კვაჭი ვანო კარკაძეა, რომელსაც 19 წელი ახლახან შეუსრულდა. სულ გუნდში 17 მორკინალი და 14 ხაზის მოთამაშეა.

იაპონიაში წამსვლელთაგან 22 ლეგიონერია, 9 კი დიდი 10-ის კლუბებს წარმოადგენს. შერკინების ხაზში შიდა ჩემპიონატიდან მხოლოდ ერთი მორკინალი გვყავს, ლეგიონერთა უმეტესობა კი საფრანგეთის ტოპ 14-ის წარმომადგენელია.

იაპონიაში გამგზავრებამდე „ბორჯღალოსნები“ ედინბურგში ჩავლენ და 6 სექტემბერს შოტლანდიის ნაკრებთან „მარიფილდზე“ დასკვნით მოსამზადებელ შეხვედრას გამართავენ.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ამიერიდან – თურქეთში

თურქული „ქონიასფორის“ ქართველი ახალწვეული ლევან შენგელია აწ უკვე ყოფილ გუნდს თბილისის „დინამოს“ სპეციალური წერილით დაემშვიდობა. 23 წლის ფეხბურთელის განცხადებით, გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა, რადგან „დინამოში“ თავს ბედნიერად გრძნობდა.

„უპირველესად, მინდა დავიწყო იქედან, რომ ძალიან გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, თუ სად გამეგრძელებინა კარიერა. ეს იმის გამო, რომ „დინამოში“ თავს ყველაზე ბედნიერად ვგრძნობდი და ეს იყო ყველას დამსახურება, დაწყებული პრეზიდენტიდან, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რომ მეგრძნო თავი კომფორტულად და დამთავრებული თითოეული სტაფის წევრით. მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ჩისკოს და მის სტაფს ასეთი პროფესიონალიზმისთვის და კომფორტისთვის, რაც გუნდში არის და ის ერთიანობა, რომელშიც თითოეული ფეხბურთელია ჩართული. ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „დინამოს“ გულშემატკივრებს, განსაკუთრებით – ჩვენს ელიტას, რომლებიც სულ ჩვენს გვერდით არიან და სულ ვგრძნობდი მათგან სიყვარულს. საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ „დინამო“ ჩემთვის არის ძალიან ძვირფასი და, რა თქმა უნდა, ნომერ პირველი გუნდი საქართველოში. დარწმუნებული ვარ „დინამო“ წელს ჩემპიონობას იზეიმებს და მეც ამის ნაწილი ვიქნები!!!“ – დაწერა სოციალურ ქსელში შენგელიამ.

შეგახსენებთ, რომ ლევან შენგელია „დინამოს“ ღირსებას 2018 წლიდან იცავდა და 50 მატჩში 25 გოლის გატანა მოახერხა. ქართველმა შემტევმა „ქონიასფორთან“ 2+1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და 19-ნომრიანი მაისური მოირგო.

გიორგი ზოთაძე

◎ სპორტული თაღლითობა

ცრუმარათონელი

ის ბერძენი მეომარი, რომელმაც ათენელებისთვის მარათონთან ბრძოლაში გამარჯვების ამბის შესატყობინებლად შეუჩერებლად 42 კილომეტრი და 187 მეტრი გაირბინა, შემდეგ უსულოდ დაეცა... მას შემდეგ ამ უგრძელეს სტაიერულ დისციპლინაზე გამარჯვებულებს სპორტულ სამყაროში უდიდეს პატივს მიაგებენ, თუმცა კი ისტორიაში შემონახულია სწორედ ამ პრესტიჟულ დისტანციაზე გამარჯვების თაღლითურად მითვისების არაერთი მაგალითი...

ცოტა ხნის წინათ კიბოთი გარდაცვლილმა კუბური წარმოშობის ამერიკელმა **როზი რუისმა,** 1980 წელს პრესტიჟული ბოსტონის მარათონი სენსაციური შედეგით 2:31:16 მოიგო, არადა მანამდე მარათონელთა ამქარში მას თითქმის არავინ იცნობდა. ამ მაჩვენებლით მან ნიუ-იორკის მარათონში საკუთარი მე-11 შედეგი თითქმის... ნახევარი საათით გაუმჯობესა(!!) თანაც ფინიშზე ის არც გაოფლილი იყო, არც სუნთქვა ჰქონდა აჩქარებული. მერე და მერე კი აღმოჩნდა, რომ „გამარჯვებულმა“ საკუთარი „მომზადების“ შესახებ ვერც ელემენტარულ შეკითხვებს უპასუხა, მას რბოლასთან დაკავშირებით მარტივი ცნებების შესახებაც წარმოდგენა არ ჰქონდა, არც დისტანციის დეტალები ახსოვდა. მეტიც: მის სახესა და ნომერს დისტანციაზე ვერც ერთი მისი მოწინააღმდეგე ვერ იხსენებდა, მისი გამოსახულება შეჯიბრის დროს გადაღებულ ასობით და ათასობით ვერც ერთ ფოტოზე ვერ მოხვდა...

ბოლოს კი იმის მოწმეებიც გაეჩნდნენ, რომლებმაც საკუთარი თვალით დაინახეს, თუ როგორ შეუერთდა სპორტსმენებს ბრბოდან გამოვარდნილი როზი რუისი როცა ფინიშამდე... რამდენიმე ასეული მეტრიღა რჩებოდა... მერე აღმოჩნდა, რომ ნიუ-იორკის მარათონში „მონაწილეობისას“ მან თითქმის მთელი დისტანცია... მეტროთი გაიარა.

შედეგად, როზი რუისს გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი სამარცხვინოდ ჩამოხსნეს, მარათონების შედეგები კი გაუუქმეს. ეს ქალი, როგორც ჩანს, ბუნებით ავანტურისტი იყო, რადგან შემდეგ მან სამსახურის ფული გაიტაცა, მერე კოკაინით ვაჭრობის გარიგებაში მონაწილეობისთვის დააკავეს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი დიდი თაღლითობა მარათონულ რბოლაში ჯერ კიდევ 1896 წელს მოხდა – მაშინ ბერძენმა **სპირიდონ ბელოვასმა** დისტანციის დიდი ნაწილი... მარხილით გაიარა. რვა წლის შემდეგ კი ოინი ოლიმპიადაზე ამერიკელმა **ფრედ ლორცმა** გაიმეორა.

როზი რუისთან დაკავშირებით სკნადალის გამო, თაღლითობების აღსაკვეთად, სპორტსმენებს ელექტრონული ჩიპების შებმა დაავალეს, თუმცა კი ამერიკელი ბლოგერის **დერეკ მერფის** მონაცემებით, რომელსაც „მარათონულ კვლევები“ მიჰყვას, წელიწადნახევარში 250 მცდელობა აღინუსხა.

„რუისის საქმის“ ყველაზე „სახელოვანი გამგრძელებელი **სერგიო მოთსოენგი** გახდა, რომელიც აფრიკაში გამართულ სუპერმარათონში (90 კილომეტრი) მონაწილეობდა. დისტანციის ნაწილი მან თავისით გაირბინა, დანარჩენი მანძილი მისმა... ტყუპისცალმა **ფიკამ** დაფარა, რომელსაც მაისურსა და ელექტრონულ ჩიპს სერგიო... საპირფარეშო ოთახში გადასცემდა. შედეგად, სერგიომ რბოლა პირველ ათეულში დაასრულა, რაღაც საპრიზო თანხაც მიიღო, მაგრამ შემდეგ ვიღაც კირკიტა მოყვარულმა აღამოაჩინა, რომ დისტანციაზე გადაღებულ ფოტოებზე მას საათი ხან მარცხენა ხელზე უკეთია, ხან მარჯვენაზე, ხოლო ფეხზე იარა ხან აქვს, ხან – არა...

სხვათა შორის, ტყუპების „ფოკუსი“ 1984 წლის ოლიმპიადაზეც განმეორდა: პუერტორიკოელმა მძლეოსანმა **მადლენ დე ხესუსმა** განაცხადი რამდენიმე დისციპლინაში მონაწილეობაზე შეიტანა, მაგრამ სიგრძეზე ხტომისას ფეხის ტრავმა მიიღო და ესტაფეტაში იგი ტყუპისცალმა შეცვალა. დები მწვრთნელმა ამხილა და გუნდი შეჯიბრიდან მოხსნა.

ნინო ალექსანდრია

№ 174. ოთხშაბათი, 4 სექტემბერი, 2019 წელი.

„მოით, მოქუჩდით, ამბავს აგწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

„ტფილისი ერთგვარი იანუსია...“

„...კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელიც გამოდის წავკისისა და კოჟრის მთებსა ...“
– ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.)

“წავკისისა და კოჟრის მთებსა“ წამოსულ სალალაკის წყალს ჯერ ავანაანთხევი უნდა გაევლო და ამ ხევის გავლით ჩაედინებოდა ტფილისს.

-ვაააა, ავანაანთ ხევია?! რა ხმამაღლა ყვირი! – ასე მიმართავდნენ ტფილისელები ხმამაღლა მოსაუბრეს თუ მოსაუბრეებს და, ალბათ, მიმიხვდით, სოლოლაკის დაარსებაზე მინდა გიამბოთ, მაგრამ ჯერ ავანაანთხევს დავჯერდეთ.

ავანაანთხევი, რომელიც კალას გალავნის გარეთ მდებარეობდა, სამეფო ბაღებით ყოფილა ერთ დროს გაშენებული. ხევმა სახელი არაბების ბატონობის პერიოდში შეიცვალა და „სულუ-ლაჰ“ ეწოდაო, ამბობენ. იმასაც ამბობენ, რომ სიტყვა „სუ“ თურქულად წყალს ნიშნავს და, შესაბამისად, „სულუ-ლაჰ“ თურქულიდან მოდისო. მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს, სიტყვა საიდან მოდის?! სოლოლაკი, როგორც ტოპონიმი XIX საუკუნიდან გაჩნდება ჩვენს თბილის-ქალაქში და ამ პერიოდიდან იწყება სოლოლაკის, როგორც „Европейская часть Тифлиса“-ს განვითარება, მაგრამ სანამ „ევრაპეისკი“ სოლოლაკზე გიამბობთ, მანამდე ავანაანთხევზე „ორიოდ სიტყვას“ მოგახსენებთ.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის რუკაზე (1735 წ.) ავანაანთხევში „მეფის დიდი ბაღების“ გარდა მამასახლისისა და თბილელთა ბაღებსაც აღნიშნავს. სამწუხაროდ, მათ შესახებ ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოვიძიე, მაგრამ აი, რა მოვიძიე სამაგიეროდ! – დარეჯან დედოფალს (ერეკლე II-ის მეუღლე) თეკლა ბატონიშვილისთვის მზითვებში „დედოფლის ბაღის“ ნაწილი მიუცია. ეს 1803 წელს მოხდა. ჰო, მაგრამ ნახეთ მერე რა ხდება – „... თქვენო აღმატებულებავ, მოწყალეო ხელმწიფევ! ...გარეთუბანს არს ბაღი ჩემი, რომელიცა მაქვს მოცემული განსვენებული დედისა ჩემისა დარიასაგან დამტკიცებული უმაღლესითა უქაზითა ... მაგრამ ცხრა წელი ... სხვა მიღებულ არს ბაღთა მათთვის, რომელნიცა არა ყოფილან დროთა შინა მეფეთათა და ... აწ მიაქვსთ სხვა და სხვათა შენობათათვის“ – ამ არზით მიმართავს თეკლა ბატონიშვილი კავკასიის მთავარმართებელ ალ. ერმოლოვს 1823 წელს. (ვახ, რა დრო დაუდგა ერეკლეს ოჯახს!).

ახლა კი გადავდივარ „ევრაპეისკაია ჩასტ ტიფლისას“ დაარსების ისტორიაზე და ვერც კი წარმოიდგენთ, ყველაფერი საიდან დაიწყო. 1844 წელს ამიერკავკასიის მეფისნაცვალი ხდება არისტოკრატი თავადი მიხეილ ვორონცოვი, რომელიც იტალიური ოპერის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა და გადაწყვეტს ტფილისში იტალიიდან საოპერო დასის ჩამოყვანას, მაგრამ წარმოდგენების გასამართად ხომ შესაბამისი შენობა იყო საჭირო?! ამიტომ ვორონცოვი ადგილობრივ ვაჭრებს შესთავაზებს ტფილისის გარეუბანში, სადაც ერთი-ორი უსახური შენობა უკვე არსებობდა, გარკვეული შეღავათების სანაცვლოდ, ქარვასლა-თეატრის აშენებას. ვაჭრები ვორონცოვს უარით გაისტუმრებენ – გარეუბანში კალადან მუშტარი აბა როგორ ამოვა საყიდლადო?! მაშინ ვორონცოვი მდიდარ ვაჭრებს მიმართავს და მხოლოდ გაბრიელ თამამშევი დაინტერესდება მისი შემოთავაზებით იმ პირობით, რომ მიწა უსასყიდლოდ გადაეცემა ... და გარიგებაც შედგება.

გაევროპებული ტფილისი

იანუსი, ანუ აზიური და ევროპული ტფილისის გასაყარი. თავად სახლი კი ყოფილი გალავნის კოშკზეა დაშენებული.

მოკლედ, ავანაანთხევის ნაწილი აგურის თაღოვანი კოლექტორით გადაიხურება, ხოლო გაბრიელ თამამშევის ფეშენებელური ქარვასლა-თეატრი (დღ. თავისუფლების მოედნის შუაგული) 1851 წლის 9 ნოემბერს, დიდი „ცუმპა-რამპათი“ გაიხსნება... ტფილისელები პირველად ეზიარებიან საოპერო ხელოვნებას და ეს ჭეშმარიტად სახალხო ზეიმად ქცეული სანახაობა ისეთ გავლენას მოახდენს ტფილისელებზე, რომ თამამშევის ქარვასლა-თეატრი მეორე დღიდან ყველაზე პრესტიჟულ თავშეყრის ადგილად გადაიქცევა ...

და როგორც ხვდებით, ყოფილი სამეფო ბაღები თანდათან გაიჩეხება, „ევრაპეისკაია ჩასტ ტიფლისა“ ავანაანთხევში სწრაფი ტემპით შეიჭრება და „ზაკავკაზსკი ვესტნიკი“ მალევე დაწერს – ტფილისი ერთგვარი იანუსია (ღვთაება სასრულისა და საწყისის), რომელიც ერთი სახით აზიისკენ (ტფილისი-კალა) იყურება, მეორეთი კი – ევროპისკენ.

ერთი სახალისო ამბავიც: ავანაანთხევი ფართო და განიერი ყოფილა და დიდი წვიმების დროს სოლოლაკის მთიდან წამოსული ნიაღვარი თუ ღვარცოფი მტკვარში ახლა იმ ხევით ჩაედინებოდა, სოლოლაკის წყალი კოლექტორში რომ მოათავსეს. ჰოდა, ამბობენ, ტფილისში ერთხელ ისეთი კოკისპირული წვიმა მოსულა, წყალმა სოლოლაკში არც მეტი, არც ნაკლები, ძროხა გაიტაცაო, მოედნის ქვეშ ვეებერთელა ხვრელში გაატარა, მუხრანის ხევთან მტკვარში ჩაიტანა (დღ. ბარათაშვილის ხიდი) და იქ უპოვიათო. ჰოდა, იმასაც ამბობენ, ძროხა არ დამხრჩვალა, გადარჩენილაო, მაააშ...

სეზონის გახსნიდან დღემდე უკანონო ნადირობის 132 ფაქტი აღირიცხა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, ნადირობის სეზონის ფარგლებში, ნადირობის წესების დარღვევის გამოვლენისა და უკანონო ნადირობის აღკვეთის მიზნით, საქართველოს მასშტაბით 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს ახორციელებენ. ინფორმაციას დეპარტამენტი ავრცელებს.



სეზონის გახსნიდან დღემდე, უკანონო ნადირობის ყველაზე მეტი, 96 ფაქტი აღირიცხა დასავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლებმა კახეთში უკანონო ნადირობის – 5, ქვემო ქართლში – 1, სამცხე-ჯავახეთში – 15, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 6, აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე კი 9 ფაქტი გამოავლინეს.

გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან, 30 შემთხვევაში, სამართალდამრღვევები, გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე ნადირობდნენ, 14 მონადირეს დაურეგისტრირებელი იარაღი აღმოაჩნდა, აკრძალული საშუალებებით 88 სამართალდამრღვევმა ინადირა. ჯამში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლებმა 85 ხელნაკეთი მოწყობილობა, ე.წ. „მანოკი“ ამოიღეს.

სულ10 დღის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, უკანონო ნადირობის 132 ფაქტი გამოვლინდა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, კანონდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მიმართონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზს – 153 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცულია), რათა დეპარტამენტის შესაბამისმა რეგიონულმა სამმართველომ მყისიერი რეაგირება მოახდინოს.

◉ მოსაზრება

ქართველების რუსი ნათლიის შესახებ

გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნდა უკრაინის მეხუთე პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს განცხადება: „დადგა დრო, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკებები და ოფიციალურად შეცვალოს სახელწოდება ᲒᲠᲣᲖᲘᲐ სახელწოდებით – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

საიდან გაჩნდა ტერმინი **გრუზია?** უამრავი ენათმეცნიერი ცდილობდა ამის ახსნას. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან **ტვირთი**, ტვირთი კი ეტყობა უარყოფით ასოციაციებს იწვევს.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ბატონი **ზვიად გამსახურდია** წიგნში **„წერილები, ესსეები“**, რომელიც 1991 წელს დასტამბა გამომცემლობა „ხელოვნებამ“, 373-ე გვერდზე საუბრობს ა. ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონზე:

„რატომ უნდა დავკარგოთ ისეთი შესანიშნავი სიტყვები, როგორიცაა **წავარნა** – კლდის ბილიკი, **სადარნო** – საფარი, **შიმშერი** – ხმალი, **ღაფალი** – უყურადღებო, **სახამსი** – ზრდილი, **მოკართული** – დატვირთული და ა.შ.“

თვალში მომხვდა სიტყვა **მოკართული** – დატვირთული. თუ „მო“ თავსართს მოვაცილებთ, დარჩება **კართული,** რადგანაც რუსულში „ქ“ ბგერა არა გვაქვს, რუსი „ქართულის“ ნაცვლად ამბობს **კართული** – რაც ძველი ქართულით ტვირთს ნიშნავს.

საქმე სხვაგვარადაა. აქ „მო“ თავსართი არ არის, აქ ტვირთის, სიმძიმის აღმნიშვნელი სიტყვაა „მოკა“. კოლხურად მოკა არის მძიმე. მოკა – მონკა მეგრულად მძიმეს ნიშნავს. მოკათუ – კოლხურად ფეხმძიმეს ნიშნავს. ამრიგად, აქ მოკა არის ფუძე და მისგანაა ნაწარმოები სიტყვა **მოკართული** – დატვირთული.

ეტყობა, ჩვენი რუსი ნათლია, პირობითად ვუწოდოთ მას ბატონი ივანე, როცა ცდილობდა ეთარგმნა „ქართველი“ რუსულად, დაეყრდნო სიტყვას **მოკართული** – დატვირთული, „მო“ ჩათვალა თავსართად, ხოლო **კართული** თარგმნა როგორც ტვირთი – „გრუზ“ და ასე გაჩნდა სახელწოდება **„გრუზია“.**

ჩვენი აზრით, სწორედ სიტყვა **„მოკართული“** დაედო საფუძვლად საქართველოს რუსულ სახელწოდებას „გრუზია“, რომელიც ნელ-ნელა თმობს პოზიციებს და ვინ იცის, ოდესმე სულაც დავიწყებას მიეცემა.

რომანოზ დანელია
ტ. 593-550-314

ვულოცავთ!
ოჯახშიც, ძმობაშიც



ვასიკო ფირცხალაიშვილი ის კაცია, ქიციც რომ იცის და ქიცმაცურიც. ბრალი მისი, ვისაც რაიმე „ისეთში“ გამოიჭერს, მაგრამ თუ შენში დადებითი თვისებები შენიშნა, სულში ჩაგიძვრენს, გულის სითბოს უხვად გიწილადებს და ბოლომდე გიერთგულებს.

სწორედ ერთგულებასა და უსაზღვრო სიყვარულზეა აწყობილი მისი და მართლაც შესანატრი დედაბოძის ნინო ანდღულაძის სანაქებო ქართული ოჯახი. ღირსეული წყვილი სამაგალითო შთამომავლობას უზრდის სამშობლოს და დარწმუნებულნი ვართ, ომარიკო, გიორგი და თამარი პირადი ცხოვრებით დაგვიმტკიცებენ, რომ, მართალია, სწავლის ძირი მწარე არის, მაგრამ კენწეროში მაინც გატკბილდების.

განსაკუთრებული ფენომენია ქალბატონი მედიკო იზორია — ნაადრევად დაქვრივებული ახალგაზრდა მეცნიერი ქიმიკოსი, რომელმაც ობლობა არ აგრძნობინა დედისერთა ვაჟკაცს და მშობლიური ამაგი უშურველად გაიღო როგორც ბევრი ჩვენგანისთვის, ისე „გეპეის“ სტუდენტებისთვისაც. საახლობლოს ჭეშმარიტი ბურჯი და იმედი, თაობათა ამაგდარი აღმზრდელი სამართლიანად ამაყობს ძვირფასი მონაგრით.

ჩვენც ისღა დაგვრჩენია, ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მივულოცოთ კეთილშობილების განსახიერებას, ქართული ტრადიციების მოტრფიალესა და საუკეთესო მეგობარს.

დღეგრძელობა გვისურვებია, ძმაო!

კახა ოდიშელიძე, კოკა ბარკალაია, გრიშა ხელაძე, ბეჟა მიხანაშვილი, დათო ჯანგირაშვილი, ბაკურ არაბული, მამუკა გურიელი, გია პლატონიშვილი.

ვრცელდება თამარ შავგულიძის ფილმის „კომეტების“ თრეილერი

თამარ შავგულიძის ფილმი „კომეტები“ წარმოდგენილი იქნება ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში „აღმოჩენები“.

ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. იგი ორი შუახნის ქალბატონის მეგობრობასა და სიყვარულზე მოგვითხრობს. „კომეტების“ სცენარზე რეჟისორმა თავადვე იმუშავა. ფილმის პროდიუსერები არიან თეკლა მაჭავარიანი და ალექსანდრე შერვაშიძე, ხოლო ოპერატორი — გიორგი შველიძე. მთავარ როლებს ქეთევან გეგეშიძე, ნინო კასრაძე, კატო კალატოზიშვილი, ნინა მაზოდიერი და მარიამ ირემაშვილი ასრულებენ. ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალი ერთ-ერთი უდიდესი კინომოვლენაა, რომელიც კანადაში 1976 წლიდან იმართება. წელს ფესტივალი 5 სექტემბერს გაიხსნება და 15 სექტემბერს საზეიმოდ დაიხურება.

სიჩქარის ახალი რეკორდი

BUGATTI CHIRON-მა სიჩქარის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. კომპანიის განცხადებით, ავტომობილმა 490,484 კმ/სთ სიჩქარე განავითარა. საჭესთან ავტომრბოლელი ენდი უოლესი იჯდა. Bugatti Chiron-ს 8-ლიტრიანი, 1500 ცხენის ძალის მქონე ძრავი აქვს, სერიული მოდელის მაქსიმალური დეკლარირებული სიჩქარე 420 კმ/სთ-ია.

კომპანიის პრესსამსახურის ინფორმაციით, სიჩქარის ახალი რეკორდი „სერიულთან მიახლოებულმა ჰიპერკარმა“ დაამყარა. რა განსხვავებაა მასსა და სერიულ Bugatti Chiron-ს შორის, ჯერჯერობით არ სახელდება.

წინა რეკორდი Koenigsegg Agera RS-ს ეკუთვნოდა, რომელმაც 2018 წელს ნევადის შტატის ერთ-ერთ გზატკეცილზე 447 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

ცირკიდან ეროვნულ პარკში



დანიის მთავრობა გეგმავს, ცირკისგან გამოისყიდოს ოთხი გაწვრთნილი სპილო და ისინი ეროვნულ პარკებს გადასცეს. ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ დანიაში საცირკო წარმოდგენებზე მხოლოდ სპილოები, ზღვის ლომები და ზებრები გამოჰყავთ. დანიის მთავრობა სპილოების — რამბოლინის, ლარას, ჯუნგასა და ჯენის გამოსყიდვისთვის 11 მილიონ კრონს (1.6 მლნ აშშ დოლარი) გადაიხდის.

გამოსყიდვის შემდეგ სპილოებს ეროვნულ პარკს გადასცემენ, თუმცა ჯერჯერობით უცნობია მათი კონკრეტული ადგილსამყოფელი. „სპილოებს გავგზავნით ისეთ ადგილას, სადაც მათი კეთილდღეობა უმაღლეს დონეზე იქნება უზრუნველყოფილი“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა. მსოფლიოს 40-ზე მეტმა ქვეყანამ, რომელთა შორის დაახლოებით ნახევარი ევროპული ქვეყანაა, შეზღუდა ან აკრძალა ზოოპარკებში ან ცირკებში გარეული ცხოველების ყოფნა.

ტრაგედია კალიფორნიის სანაპიროსთან

კალიფორნიის სანაპიროსთან გემზე ხანძარს 25 ადამიანი ემსხვერპლა. კიდევ ცხრა დაკარგულად ითვლება. ინფორმაცია ოფიციალურმა პირებმაც დაადასტურეს.

მანამდე ვრცელდება ინფორმაცია, რომ გემზე მყოფი 34 ადამიანი დაიღუპა. მოგვიანებით, სახანძრო და სამაშველო სამსახურში განაცხადეს, რომ ხანძრის დროს დაკარგულებს ჯერ კიდევ ეძებდნენ და შესაძლოა, მათი ნაწილი გადარჩენილიყო.

დღის ბოლოს, სანაპირო დაცვის სამსახურის წევრებმა 25 ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს. კიდევ ცხრა მგზავრს ეძებენ. ინციდენტი ლოს ანჯელესიდან 145 კილომენტრში მდებარე სანტა კრუზის კუნძულთან მცურავ ხომალდზე მოხდა. ოფიციალური ინფორმაციით, ხანძრის დროს გემზე სულ 39 ადამიანი იმყოფებოდა. გამოძიების ცნობით, ცეცხლის გაჩენის შემდეგ, მგზავრების უმრავლესობა კაიუტებში ბლოკირებული აღმოჩნდა. ნაწილი კი წყალში გადახტა. როგორც პოლიცია აცხადებს, ხანძრის დროს ჟანგბადის ავზები აფეთქდა, რამაც ცეცხლის გავრცელებას შეუწყო ხელი. დამწვარი გემი კომპანია „თრუზ აქუათიკს“ ეკუთვნის და შიდა ტურებისთვის იყო განკუთვნილი.

ესპანელებმა მიგრანტები გადაარჩინეს

ესპანეთის სანაპირო დაცვამ ხმელთაშუა ზღვაში 200-მდე მიგრანტი გადაარჩინა.

„ევრონიუსის“ ცნობით, მიგრანტები ევროპის ტერიტორიაზე მოხვედრას ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიიდან ცდილობდნენ. როგორც ცნობილია, გიბრალტარის სრუტის რეგიონში ბოლო 24 საათში რამდენიმე ოპერაცია ჩატარდა. ესპანეთის სანაპირო დაცვამ სამი კუსტარულად დამზადებული ნავიდან 73 მიგრანტი გადაარჩინა. ოპერაცია ჩატარდა ალბორანის ზღვაშიც, სადაც ესპანეთის სანაპირო დაცვამ ხუთი სხვადასხვა ნავიდან 110 მიგრანტი გადაარჩინა. არალეგალები მალაგის პორტში გადაიყვანეს.

ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წელს ხმელთაშუა ზღვის გავლით ესპანეთის ტერიტორიაზე 18 ათასამდე მიგრანტი მოხვდა. ეს რიცხვი კი, წინა წლის მაჩვენებელზე 39 პროცენტით ნაკლებია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9614; ევრო - 3.2481;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5765;
100 რუბლი - 4.4407; თურქული ლირა - 0.5093;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7419;
1000 სომხური დრამი - 6.2201.

ამინდი 4 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge